F76 N 166

[პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

ლიტერატურული საქართველო

30 ივლისი, 1940 წ.

საქართველოს საბჭოთა მწერლების კავშირის ორგანო

№ 21 (144) ფასი 30 კაპ.

უძვირფასესი განძი ბოლშევიზმის მატიანეში

1935 წლის 21 ივლისს თბილისის პარტიული აქტივის კრებაზე მოხსენებით თემაზე „ამიერ-კავკასიის ბოლშევიკური ორგანიზაციების ისტორიის საკითხისათვის“ გამოვიდა ქართველი ხალხის საამაყო შვილი, დიდი **სტალინის** ღირსეული მოწაფე და თანამებრძოლი ამხანაგი **ლავრენტი ბერია.**

ამ ისტორიული დღის შემდეგ ხუთმა წელმა გაიარა. განუზომელია ამხანაგ **ლავრენტი ბერიას** ამ წიგნის მნიშვნელობა. „ამხანაგ ბერიას მოხსენება უძვირფასესი განძია ბოლშევიზმის მატიანეში, იგი დეტალურად გვაცნობს ყოფილი მეფის იმპერიაში რევოლუციური მოძრაობის დიდ ფაქტიურ მასალას და ჩვენი პარტიის ერთ-ერთი უძველესი და უდიდესი ორგანიზაციის განვითარებას. იგი დაწვრილებით ლაპარაკობს პოლიტიკური ბრძოლის იმ სკოლაზე, საიდანაც გამოვიდა დიდი ლენინის ყველაზე უფრო ახლობელი თანამოსაქმე, მისი ყველაზე უფრო ერთგული და თანმიმდევარი თანამებრძოლი, მსოფლიო პროლეტარიატის ბელადი ამხანაგი სტალინი. იგი გვაცნობს პროლეტარული რევოლუციის საქმისათვის ნამდვილ გმირ მებრძოლებს, ამიერ-კავკასიის რევოლუციურ - მარქსისტული ინტერნაციონალისტური ფრთის საუკეთესო წარმომადგენლებს, ამხანაგ სტალინის უახლოეს მეგობრებს და თანამშრომლებს. ამავე დროს იგი დაუნდობლად ამჟღავნებს მუშათა კლასის ყველა მტერს, ყველა მოღალატეს, ვისთანაც შეტაკება და შეუბრალებელი ბრძოლა უხდებოდათ ამიერ-კავკასიის ბოლშევიკებს, რომლებსაც ამხანაგი სტალინი ხელმძღვანელობდა“ („პრავდა“).

მასების პოლიტიკურად აღზრდის, სტალინურად გამოწრთობის საქმეში ამ წიგნმა გრანდიოზული როლი შეასრულა და ასრულებს. ამით აიხსნება მისი უდიდესი პოპულარობა და ის სიყვარული, რომელიც ამ წიგნმა დაიმსახურა ჩვენს ქვეყანაში. ხუთი წლის განმავლობაში ეს ნაშრომი გამოიცა ხუთჯერ, თვრამეტ ენაზე. მისი საერთო ტირაჟი 2.107.985 ეგზემპლარს უდრის. მარტო ქართულ ენაზე გამოიცა იგი 140 ათასიანი ტირაჟით.

ამ წიგნში სტალინური სიღრმით და სიმართლით არის ნაჩვენები, როგორ აყალიბებდა და აწრთობდა დიდი **სტალინი** დიდ **ლენინთან** ერთად ლენინურ-ისკრული მიმართულების სოციალ-დემოკრატიულ ორგანიზაციებს, როგორ რაზმავდა დიდი სტალინი მშრომელთა მასებს ძველი ქვეყნის წინააღმდეგ საიერიშოდ. აქ ვხედავთ წარმტაც ეპიზოდებს, გმირული ბრძოლის გასაოცარ სურათებს. ჩვენს წინაშე ნათელი შუქი ეფინება ჩვენი პარტიის გმირულ წარსულს: აქ ჩვენ ვხედავთ, როგორ ჩაისახნენ და ჩამოყალიბდნენ ამიერ-კავკასიის ბოლშევიკური ორგანიზაციები, როგორ იბრძოდნენ ისინი რუსეთის პირველი რევოლუციის პერიოდში, როგორ იბრძოდნენ ისინი რეაქციისა და მუშათა მოძრაობის აღმავლობის პერიოდში, ნაჩვენებია ის მაღალი იდეურობა და შეურყეველი პრინციპულობა, რომელსაც ბოლშევიკები განუხრელად, თვალის ჩინივით უფრთხილდებოდნენ ყველა ჯურის კონტრრევოლუციური პარტიების, ოპორტუნისტების წინააღმდეგ ბრძოლაში. ვეცნობით ამ ბრძოლის ისტორიის წარმტაც ფურცლებს, რომელნიც ნათლად გვიჩვენებენ, რომ „ამიერ - კავკასიის ბოლშევიკური ორგანიზაციების მთელი ისტორია, ამიერ-კავკასიისა და საქართველოს მთელი რევოლუციური მოძრაობა, მისი ჩასახვის პირველ დღეებიდანვე განუყრელად დაკავშირებულია ამხანაგ სტალინის მუშაობასთან და სახელთან“ (ლ. ბერია).

ამხანაგ ლავრენტი ბერიას ისტორიულმა ნაშრომმა უფრო გააძლიერა ჩვენი ხალხის ღრმესი სიყვარული დიდი სტალინისადმი, ამ წიგნმა უფრო მეტად აამაღლა პარტიული და უპარტიო ბოლშევიკების მტკიცე, რევოლუციური სიფხიზლე. ამხანაგ ლ. ბერიას წიგნი არის მძლავრი დასაყრდენი „საქ. კ. პ. (ბ) ისტორიის მოკლე კურსის“ სტალინური სახელმძღვანელოს შესწავლის საქმეში.

ხუთი წლის განმავლობაში ამხანაგ ბერიას წიგნი ზრდიდა და ამაღლებდა მშრომელი მასების პოლიტიკურ შეგნებას და აფართოებდა მათი გონებრივი თვალთახედვის ჰორიზონტს. ამ წიგნმა უდიდესი აღმავლობა გამოიწვია მრავალ მილიონიან საბჭოთა პატრიოტების შეგნებაში.

ამხანაგ ლავრენტი ბერიას ისტორიულმა მოხსენებამ განსაკუთრებით მძლავრი შემოქმედებითი აღმავლობა გამოიწვია იდეოლოგიური ფრონტის ყველა უბანში: მან სტიმული და ძალა მისცა ჩვენს თეატრს, ლიტერატურას, მხატვრობას განვითარების ახალი, მაღალი მწვერვალებისათვის მიეღწიათ.

მხატვრული შემოქმედების მუშაკებისთვის ამხანაგ ლ. ბერიას წიგნი შთაგონების დაუშრეტელ წყაროდ გადაიქცა. აი რას სწერს საქ. სსრ უმაღლესი საბჭოს დეპუტატი, სსრ კავშირის სახალხო არტისტი აკაკი ვასაძე: „ის უდიდესი სიყვარული, თავდადება, ერთგულება პარტიისადმი, რომელიც ამ ნაშრომის ყოველ სტრიქონიდან გამოსჭვივის, არაჩვეულებრივი ძალით მოქმედებს ჩვენზე და გვაფრთოვანებს გულწრფელი და უდიდესი საპასუხისმგებლო მუშაობისათვის. ამ წიგნის საფუძველზე აღმოცენებული პირველი ცდები ხელოვნების დარგში და კერძოდ ჩვენს თეატრებში — ეს არის რევოლუციურ - ისტორიული სპექტაკლების მტკიცე ტრადიციის შექმნა და **ლენინ-სტალინის** დიადი მოძღვრების შესწავლისათვის ბრწყინვალე ნაბიჯის გადადგმა. მაგრამ ამ შესანიშნავ დასაწყისს უნდა მოჰყვეს ღირსეული გაგრძელება თეატრში, მუსიკაში, მხატვრობაში და ლიტერატურაში“.

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს დეპუტატი, ორდენოსანი დრამატურგი შალვა დადიანი შემდეგნაირად განსაზღვრავს ამ წიგნის მნიშვნელობას მთელი საბჭოთა ხელოვნებისათვის:

„მან გაგვინათა გზა, რომ შეუმცდარად და სწორუტყუარად გავცნობოდით ჩვენი ქვეყნის ამ დიად წარსულს.

პარტიულსა და უპარტიოს მან მოგვცა საშუალება კარგად გავრკვეულიყავით ყოველ მოვლენასა და ეპიზოდში, გვეცნო მტერი და მოყვარე, მიზეზები მათი წარმოშობისა და განვითარებისა.

თვით ამ სტრიქონების დამწერი, მოგეხსენებათ, სრულიად დაეყრდნო ამხ. ლავრენტის ხსენებულ ნაშრომს. ეს რომ არა, უთუოდ არც ის პიესა „ნაპერწკლიდან“ წარმოიშობოდა, რომელმაც ასეთი დიდი გამოხმაურება მოიპოვა ჩვენს თეატრებში“.

დღეს ჩვენ მოგვეპოვება მთელი ციკლი ღირსშესანიშნავ ნაწარმოებებისა, რომლებიც გვიხატავენ დიდი სტალინის ცხოვრებასა და ბრძოლას, ბოლშევიკური პარტიის გმირულ წარსულს; ეს ნაწარმოებები მნიშვნელოვანი არიან იმითაც, რომ მათში მტკიცედ გაიმარჯვა სოციალისტური რეალიზმის შემოქმედებითმა მეთოდმა. ქართული ლიტერატურის ამ აღმავლობას უნდა ვუმადლოდეთ ამხანაგ ლავრენტი ბერიას ისტორიულ მოხსენებას.

ამ წიგნმა მისცა თემა და შთაგონება პოეტ გიორგი ლეონიძეს დაეწერა თავისი საუცხოო ეპოპეა „ბელადის ბავშვობა და ყრმობა“. აქვე აღსანიშნავია ირაკლი აბაშიძის პატარა, მაგრამ მძაფრი პოემა, რომელიც გამოხატავს დიდი სტალინის თანამებრძოლის საშა წულუკიძის დასაფლავების დღეს მოწყობილ გრანდიოზულ სახალხო დემონსტრაციას, რომელზედაც სიტყვით გამოვიდა ამხანაგი სტალინი,—და გრიგოლ აბაშიძის პოემა „შავი ქალაქის გაზაფხული“, რომელშიაც მძაფრი მხატვრული ფერებით ნაჩვენებია დიდი სტალინის რევოლუციური მოღვაწეობის ერთი ეპიზოდი.

დიდი სტალინის ბავშვობასა და ყრმობას ასახავენ თავის რომანებსა და მოთხრობებში საბჭოთა ბელეტრისტები: კ. გამსახურდია („ბელადი“), დ. შენგელაია („ყრმობა“), ს. კლდიაშვილი („შემთხვევა ძველ გორში“) და სხვ. უნდა აღინიშნოს, რომ ამხანაგ ბერიას ისტორიულმა ნაშრომმა განსაკუთრებით მძლავრი სტიმული მისცა ქართულ საბჭოთა პოეზიას. აქ აღსანიშნავია გ. ტაბიძის „სტალინი“, ალ. მაშაშვილის „ბელადის სამშობლო“, „ჰიმნი სამშობლოს“ და „დაბადება“, ს. ჩიქოვანის „გორის ციხე“ და „ბელადის მოძმე“, ალ. ქუთათელის „სტალინი დედასთან თბილისში“, შ. აფხაიძის „სტალინი“, ს. ეულის „ეპოქის ავტორი“, ს. შანშიაშვილის „იოსებ სტალინი“, ი. მოსაშვილის „ბელადის სახლი“, ი. გრიშაშვილის „სოსელო“, რ. გვეტაძის, ა. გომიაშვილის, ვ. გაფრინდაშვილის და სხვათა ლექსები.

ცხადია, ჩვენ ვერ დავკმაყოფილდებით მხოლოდ იმით, რაც ამ სფეროში დღემდე გაკეთებულა. ეს არის მხოლოდ საუკეთესო დასაწყისი. დიდი სტალინის ცხოვრებისა და ბრძოლის თემა, ბოლშევიკურ პარტიის გმირული წარსულის თემა ამოუწურავი თემაა. ჩვენმა მწერლებმა უფრო სრულყოფილად, უფრო მაღალხარისხოვნად უნდა ასახონ ჩვენი გმირული წარსული და ბრწყინვალე აწმყო.

სტალინირი. სამხრეთ-ოსეთის ავტონომიური ოლქის მთავრობის შენობა.

საქართველოს კინო-ხელოვნების წარმატებისათვის

იყო დრო, როცა საქართველოს კინო-ხელოვნება მოწინავე რიგებში იდგა, საქართველოს სახკინმრეწვის ფილმებს საკავშირო რეზონანსი ჰქონდათ, საქართველოს კინო-ხელოვნების პროდუქცია საყვარელი და დიდად პოპულარული იყო ყველა მოძმე რესპუბლიკის მაყურებელთა შორის. საქართველოს სახკინმრეწვმა მოგვცა მთელს საბჭოთა კავშირში ცნობილი კინო-ხელოვანნი — მსახიობები, რეჟისორები, ოპერატორები, რომელთაგან ზოგიერთნი განსაკუთრებული დამსახურებისათვის კინო-ხელოვნების დარგში დაჯილდოებულ იქნენ საბჭოთა კავშირის ორდენებით.

სამწუხაროდ, ამჟამად საქართველოს კინოხელოვნება აღარა სდგას მოწინავეთა რიგებში, იგი შერჩა ერთხელ მოპოვებულ დონეს. სხვები კი, იღებდნენ რა მხედველობაში მაყურებლის მზარდ კულტურულ - ესთეტიურ მოთხოვნილებას, შედარებით ამაღლდნენ, წინ წავიდნენ. საქართველოს წლიური კინო-პროდუქცია რაოდენობის მხრივ შემცირდა, მხატვრულ-იდეური ხარისხის მხრივ დაქვეითდა, დამდაბლდა. მაღალმხატვრული, ღრმად იდეური კინოფილმი, ისეთი ფილმი, როგორიც იყო „დიადი განთიადი“, უკანასკნელი ხუთი წლის მანძილზე საქ. სახკინმრეწვის მიერ გამოშვებულ ფილმებს შორის იშვიათ გამონაკლისს წარმოადგენს. ქართული კინო-ხელოვნებისათვის დამახასიათებელ, ჩვეულებრივ მოვლენად გადაიქცა გამოშვება საშუალო დონეზე დაბალი ნაწარმოებისა, ისეთისა, როგორიც არის „სამშობლო“, „დაგვიანებული სასიძო“ და მისთანები, რომლებმაც ორი დღეც ვერ გასძლეს არა თუ საკავშირო დიდ-ქალაქების, არამედ პერიფერიების კინო-თეატრების ეკრანებზედაც. ეს არ აიხსნება იმ გარემოებით, რომ სურათებს ჩვენი სახკინმრეწვი ნაჩქარევად და ნაუცბათევად აკეთებდეს, პირიქით, ფილმების წარმოების პროცესი ჩვენში ზომაზე მეტად ჭიანურდება, რაც მათ თვითღირებულებას ძალზე აძვირებს. ერთგვარი ახსნა და გამართლება ექნებოდა ამ სუსტ ფილმებს, რომ ისინი დამწყებ, დებიუტანტ რეჟისორებს ეკუთვნოდნენ, მაგრამ საქმე ის არის, რომ მეტწილად ამ ფილმების დამდგმელნი სტაჟიანი და ცნობილი რეჟისორები არიან.

რამდენიმე წელიწადი გავიდა ისე, რომ მაყურებელი ვერ ხედავს ახალი რეჟისორების, ახალი მსახიობების და ოპერატორების მიერ შესრულებულ ჩვენი სახკინმრეწვის კინო-სურათებს, ეს მაშინ, როცა სახკინმრეწვის შტატში ირიცხებიან და წლობით ხელფასს იღებენ რეჟისურის დარგში მომუშავე არა ერთი და ორი ახალგაზრდა, რომელთაგან ზოგიერთი იძლევა იმის უტყუარ ნიშანს, რომ მოკლებული არ არის ნამდვილი მხატვრული შემოქმედების შესაძლებლობას. მაგრამ არც ერთ მათგანს ჯერ არ მისცემია საშუალება თუნდაც ერთი მოკლემეტრაჟიანი ფილმი გაეკეთებინა. საერთოდ მოკლემეტრაჟიანი სურათების გამოშვება, როგორც ახალგაზრდა ძალების გაწვრთნისა და მომზადების საშუალება, გამორიცხულია საქ. სახკინმრეწვის პრაქტიკიდან.

უკეთესი მდგომარეობა არ არის კინოსცენარისტთა, კინოდრამატურგთა მომზადების დარგში. დღემდე სახკინმრეწვის სასცენარო განყოფილებას არ გაუზრდია ასე თუ ისე თვალსაჩინო პროფესიონალი კინო-დრამატურგი. მან დღემდე ვერც ის შესძლო, რომ ამ ჟანრში მუშაობის ხალისი აღეძრა ცნობილ ქართველ მწერლებისათვის. თუ რა არის ამის მიზეზი, ამ საკითხზე უფრო დაწვრილებით ქვემოთ გვექნება ლაპარაკი.

ყოველივე ამას შედეგად მოჰყვა ქართული კინო-ხელოვნების ჩამორჩენა საბჭოთა კინო-ხელოვნების საერთო მხატვრულ-იდეური ზრდისაგან, ამის შედეგად გვაქვს ის, რომ ქართული კინო-ხელოვნება ვერ ასახავს დღევანდელ სოციალისტურ საქართველოს, მის ადამიანებს ისე, რომ ჩვენი კინო-ფილმები იტაცებდნენ, აღელვებდნენ მაყურებელს, აძლიერებდნენ მასში სიყვარულს და ინტერესს ქართველი ხალხის შემოქმედებითი შრომისა და ბრძოლისადმი. ჩვენი ქვეყნის განახლებული სოფელი და ქალაქი, ჩვენი მუშა და კოლმეურნე, ჩვენი ინტელიგენცია და მოსწავლე ახალგაზრდობა მხატვრული სისრულით და დამაჯერებლობით ჩვენს კინო-ხელოვნებას ჯერ კიდევ არ გამოუყვანია ეკრანზე.

არსებობს თუ არა რაიმე ობიექტური მიზეზი ამ ჩამორჩენის გასამართლებლად? — არავითარი. ჩვენი კინო-ხელოვნების ტექნიკური ბაზა, მისი ტექნიკური შესაძლებლობა პირველხარისხოვანია. მას მოეპოვება სრულქმნილი გასანათებელი და გადასაღები აპარატურა, მშვენიერი ატელიები, ლაბორატორიები, ფირები. ასლგადასაღები ფაბრიკა მოიპოვება ყველაფერი იმისათვის, რომ გამოუშვას ტექნიკურად უზადო კინო-ფილმი. მტკიცეა მისი ფინანსიური ბაზა. მორალურად და მატერიალურად ჩვენი კინო-მუშაკები უზრუნველყოფილი არიან ისე, როგორც არასდროს. საყოველთაოდ ცნობილია ის უაღრესად სათუთი, მზრუნველობითი და კონკრეტული დამოკიდებულება, რომელსაც ამხანაგი **ლავრენტი ბერია** იჩენდა და იჩენს საქართველოს კინო-მუშაკებისა და კინო-ხელოვნებისადმი, როგორც ყველაზე მასობრივ და ყველაზე საჭირო ხელოვნებისადმი. პარტიის ხელმძღვანელების მხრით ეს გულისყური და მზრუნველობა მათდამი ოდნავადაც არ შენელებულა. მაშ რა აფერხებს ქართული კინო-ხელოვნების წარმატებას?

ჩვენის ღრმა რწმენით, ქართული კინო-ხელოვნების წინსვლას ხელს უშლის ის ფაქტი, რომ ჩვენი კინო-შემოქმედნი ისე ახლო არ დგანან ცხოვრებასთან, იმდენად კარგად არ იცნობენ ჩვენს სინამდვილეს, როგორც ამას სოციალისტური რეალიზმის ხელოვნება მოითხოვს, რომ ისინი ჯერ კიდევ სათანადოდ ვერ იბრძვიან საბჭოთა კინო-ხელოვნების შთამგონებლისა და მოამაგის დიდი **სტალინის** იმ ღრმა და ბრძნული ლოზუნგის განხორციელებისათვის, რომელიც ყველა ხელოვანისაგან და განსაკუთრებით კინო - შემოქმედისაგან მოითხოვს—ისწავლონ ცხოვრებისაგან. მეორე: ჩვენი ცხოვრების პროცესების სწორი წარმოდგენისა და გააზრებისათვის საკმაო არ არის ის თეორიული დონე, საბჭოთა ხალხის წარსულის და პარტიის ისტორიის ცოდნის ის მარაგი, რომელიც ჩვენი კინო-ოსტატების დიდ ნაწილს მოეპოვება. ჩვენი კინო-ხელოვნების ზრდის შემაფერხებელი მესამე გარემოება გახლავთ ისიც, რომ კინო-ხელოვნების მუშაკებს უკანასკნელ ხანებში ემჩნევათ ხელოვნების სხვა დარგებიდან და მხატვრული მწერლობიდან ერთგვარი გამიჯვნის და განაპირების ტენდენცია. ზოგიერთ ჩვენს კინო-ხელოვანს დღესაც კინო-ხელოვნება მიაჩნია უაღრესად სპეციფიურ ხელოვნებად, სხვა დარგებიდან აბსოლუტურად დამოუკიდებელ ხელოვნებად. ნამდვილად-კი კინო-ხელოვნება ყველა ხელოვნებაზე უფრო სინთეტიური ხელოვნებაა. კინო-ფილმი ლიტერატურის, მხატვრობის, სკულპტურის, მუსიკის გამოსახვით საშუალებათა უაღრესად თავისებური, დიალექტიკური (და არა მექანიკური) შერწყმაა. ამ კოლექტიურ შემოქმედებითს პროცესში რეჟისორი ხელმძღვანელი მაორგანიზებელი ძალაა, რომელიც აძლევს კინონაწარმოებს ერთიან სტილსა და მთლიანობას. აქედან ცხადია, თუ რა დიდი მნიშვნელობა აქვს სრულყოფილი ფილმის შექმნისათვის ხელოვნების ყველა ამ დარგის წარმომადგენელთა შეწყობილ, ორგანიულ თანამშრომლობას. ჩვენი სახკინმრეწვის პრაქტიკაში-კი იშვიათია შემთხვევა, რომ პირვანდელი სცენარის დამუშავებაში, ე. ი. კინო-ფილმის დაპროექტებაში მონაწილეობას ღებულობდნენ ხელოვნების ამ დარგების მუშაკები. მეტწილად მათი მონაწილეობა მექანიკურია, ერთიმეორესთან შეუთანხმებელი, არაორგანიული. იშვიათია აგრეთვე შემთხვევა, რომ კინო-ფილმის, როგორც სინთეტიური ნაწარმოების განხილვაში მონაწილეობა მიიღოს ხელოვნების ყველა ამ დარგის წარმომადგენლებს. საერთოდ, როგორც წესი, უკანასკნელ წლებში უკვე აღარ იმართება დისპუტები ჩვენი კინო-ფილმების გასარჩევად და შესაფასებლად. ყველაფერი ეს ჰქმნის ვიწრო წრით ქართული კინო-ხელოვნების შეზღუდვას, ვიწრო რკალში მისი მომწყვდევის საშიშროებას.

განსაკუთრებით სამწუხარო შედეგებს იძლევა კინო-დრამატურგიის შეუფასებლობა პრაქტიკაში. დღეს თითქმის არავინ დაობს იმაზე, რომ სცენარს, როგორც მხატვრულ ნაწარმოებს, ერთს მკაფიო თემაზე და მთელი ფილმის ერთს მამოძრავებელ იდეაზე აგებულს, ფაბულარულად გამართულს, სიუჟეტურად შეკრულს და დრამატურგულად დაძაბულს ნაწარმოებს, დამოუკიდებელი ღირებულება აქვს. დღეს არავინ დაობს იმაზე, რომ სცენარი ფილმის წამყვანი და ძირითადი ფაქტორია, რომ რეჟისორის მოვალეობაა მხოლოდ აამეტყველოს სცენარი კინემატოგრაფიის ენაზე, მხატვრულად გააღრმაოს და სრულჰყოს ის, რაც ზოგჯერ სცენარში გაურკვევლად და ფარულად არის მოცემული. რეჟისორს აქვს უფლება სცენარის თავისებურად ახსნისა და გაგებისა. სხვა მხრივ რეჟისორი უნდა ასრულებდეს და მიჰყვებოდეს კინო-დრამატურგის ნებისყოფას. თეორიულად ეს დებულება დღეს თითქოს დავას არ იწვევს, მაგრამ პრაქტიკულად იგი ყველაზე ნაკლებ ჩვენს სახკინმრეწვში ხორციელდება. თითქმის ყველა რეჟისორი მის მიერ სცენარის დადგმის, მისი ეკრანიზაციის პირობად მოითხოვს თანაავტორობას და შემდეგ, რათა ეს თანაავტორობა გაამართლოს, იწყებს სცენარის გადაკეთებას, საჭიროებს თუ არა ამას იგი.

მაგრამ მარტო რეჟისორი როდი სწყვეტს სცენარის ბედს. მისი გარჩევისა და მიღების პროცედურა თვეობით ჭიანურდება, სცენარში ხელს ურევს მრავალი პირი. ზოგიერთ მათგანს შეაქვს რადიკალური ცვლილება და, ბოლოს, სცენარი ღებულობს ისეთ სახეს, რომ მას ავტორი - დრამატურგი ვეღარ სცნობს. ასეთი პერტურბაციის შემდეგ სცენარი ჰკარგავს ინდივიდუალური შემოქმედებითი ნიშანწყალს, რასაც ნამდვილი ხელოვანი ვერ ურიგდება. ეს არის მიზეზი, რომ ჩვენი სახკინმრეწვი ზრდის უკეთეს შემთხვევაში მრავალჯერ გადასამუშავებელი სცენარების მკეთებელ ხელოსნებს და არა კინო-დრამატურგებს. ასეთი დამოკიდებულება სცენარისა და მისი ავტორისადმი პროფესიულ მწერლებს აჩვევს — უყურონ სცენარს არა როგორც მხატვრული ინდივიდუალობის მატარებელ ნაწარმოებს, არამედ როგორც ჰონორარის მოსაპოვებელ საშუალებას. მხოლოდ ჰონორარი, მხოლოდ კომერციული ანგარიში კი არ გამოდგება სტიმულად და შთამგონებლად თავმოყვარე და ჭეშმარიტი შემოქმედისათვის. თუ ჩვენს კინომუშაკებს მართებულად და სწორად მიაჩნიათ ის მოსაზრება, რომ კინო-სცენარი არის მთავარი ღერძი ფილმისა, რომ საქართველოს კინო-ხელოვნების წინსვლას აფერხებს სრულღირებულებიანი სცენარების უქონლობა, მაშინ მათ რადიკალურად უნდა შესცვალონ კინო-დრამატურგებისადმი და სცენარზე მომუშავე მწერლებისადმი დამოკიდებულების დღევანდელი პრაქტიკა.

ცხოვრების ღრმა შესწავლა, იდეურ-თეორიული დონის ამაღლება, ნიჭიერ ახალგაზრდა სცენარისტების და ცნობილი ქართველი მწერლების წახალისება და ამუშავება კინო-სცენარების შესაქმნელად, ხელოვნების ყველა დარგის მუშაკებთან მჭიდრო თანამშრომლობის დამყარება — ყველაფერი ეს აუცილებელია იმისათვის, რომ ქართული კინო-ხელოვნება გაუსწორდეს მოწინავეებს, რომ მან კვლავ მოიპოვოს მაყურებლის სიყვარული და პატივისცემა, რომ იგი გამარჯვებული გამოვიდეს იმ დიდ შეჯიბრებაში, რომელიც კულტურული შემოქმედების ფრონტზე მოძმე-რესპუბლიკებს შორის მიმდინარეობს.

სამხრეთ-ოსეთის აღმავლობის ოცი წელი

ოცი წლის წინათ სამხრეთ-ოსეთის მშრომელმა მოსახლეობამ თავის მიწა-წყალზე აღმართა საბჭოთა ხელისუფლების დროშა. ზღვა სისხლი დაღვარა ამ პატარა მთიელმა ხალხმა, ვიდრე იგი გამარჯვებას მოიპოვებდა. ქართველი ხალხის ჯალათები მენშევიკები დაუნდობელი სისასტიკით—ცეცხლითა და მახვილით გაუსწორდენ სამჯერ აჯანყებულ მშრომელ გლეხობას. სახლკარის გადაწვა, მამაპაპეულ მიწიდან აყრა, ამოხოცვა არგუნეს წილად ქართველი თავად - აზნაურობის ლაქიებმა თავისუფლებისათვის მედგრად მებრძოლ ოსეთის მშრომელებს. მაგრამ მათ ერთი წუთითაც არ დაუკარგავთ რწმენა, რომ მათი საქმე გაიმარჯვებდა. ქართველი ხალხის და გმირული წითელი არმიის დახმარებით 1921 წლის 25 თებერვალს ოსეთის მშრომელებმა საბოლოოდ მოიპოვეს ის, რისთვისაც იბრძოდნენ. დაახლოებით ოცი წელიწადი გავიდა მას შემდეგ, და ეს ოცი წელი იყო სამხრეთ-ოსეთის განუწყვეტელი სამეურნეო და კულტურული აღმავლობის წლები.

საქ. კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის ხელმძღვანელობით, ამხანაგ **ლავრენტი ბერიას** განსაკუთრებული მზრუნველობის შედეგად სამხრეთ-ოსეთმა მიაღწია უდიდეს წარმატებას. ამ ოცი წლის მანძილზე წარმოუდგენლად შეიცვალა სამხრეთ-ოსეთის სახე. მთის ფერდობები და ველები მოიფინა ახლად გაშენებული კეთილმოწყობილი სოფლებით. გამშვენიერდნენ და გალამაზდნენ ძველი სოფლები. კოლმეურნეობებში გაერთიანებულმა გლეხობამ ერთი-ორად გაადიდა ყანების, ბაღ-ვენახების, მეცხოველეობის ფერმების ნაყოფიერება. შეიქმნა და გაძლიერდა სოციალისტური ინდუსტრია. მუშაობს რამდენიმე ხე-ტყის ქარხანა, საამშენებლო მასალის, მარმარილოს მომპოვებელი, ტალკის დასამუშავებელი ქარხნები. მიმდინარეობს გაცხოველებული მუშაობა მიწის წიაღის სხვა სიმდიდრეების, ქვანახშირის, ბარიტის, მარგანეცის, ვოლფრამის, თუთიის მადნების დასამუშავებლად. წინად უგზოობით გატანჯული სამხრეთ-ოსეთი დაისერა შესანიშნავი გზატკეცილებით, სტალინირ-ლენინგორის და გუფთა-ჩასავალის გზატკეცილებით, რომელიც სამხრეთ-ოსეთის მშრომელებმა ფერგანელთა გამოცდილების მიხედვით მოკლე ხანში გაიყვანეს.

ამხანაგი ლავრენტი ბერიას ინიციატივით და დახმარებით მათვე იმავე წესით ხორცი შეასხეს თავიანთი მრავალი წლის ოცნებას: გაიყვანეს გორი-სტალინირის რკინიგზა, რომელიც საზეიმოდ გაიხსნა სამხრეთ-ოსეთის ოცი წლისთავზე. თუ რა დიდი ნაბიჯი გადადგა სამხრეთ-ოსეთმა კულტურის დარგში, მოწმობს ის ფაქტი, რომ მის მრავალ ათეულ სკოლაში დღეს განათლებას ღებულობს ოცდაცხრა ათასი ახალგაზრდა. სარაიონო ცენტრებში და სოფლებში დიდ კულტურულ მუშაობას ეწევიან კლუბები, ქოხსამკითხველოები, საბავშვო ბაღები, საავადმყოფოები. აღორძინდა და აყვავდა ბეჭდვითი სიტყვა—ამ პატარა ოლქში გამოდის შვიდი გაზეთი და ორი ჟურნალი. უკვე რამდენიმე წელიწადია ნაყოფიერ შემოქმედებითს მუშაობას ეწევიან ორი სახელმწიფო და ერთი საკოლმეურნეო თეატრი, კულტურის სახლი, ენისა და ლიტერატურის ინსტიტუტი, სამხარეთმცოდნეო მუზეუმი, სახალხო სიმღერების და ცეკვების ანსამბლი და მრავალი თვითშემოქმედებითი წრე.

ოდესღაც მიყრუებული დაბა ცხინვალი გადაიქცა კეთილმოწყობილ სოციალისტურ ქალაქ სტალინირად, რომელსაც ამშვენებენ ფართო ქუჩები და მოედნები, მრავალსართულიანი სახლები, კულტურისა და დასვენების პარკი, მოწაფეთა და პიონერთა ბაღები. წყალსადენი, ავტომატური სატელეფონო სადგური, ჰიდრო-ელექტრო სადგური, ძლიერი რადიო კვანძი დღეს სტალინირს მოწინავე კეთილმოწყობილ ქალაქთა რიგებში აყენებს.

სამხრეთ-ოსეთის ასეთმა სამეურნეო და კულტურულმა აღორძინებამ უდიდესი ბიძგი და სტიმული მისცა ოსური მწერლობის განვითარებას. გასული წლის ნოემბერში მთელმა საბჭოთა კავშირმა ბრწყინვალე ზეიმით გადაიხადა დიდი ოსი პოეტის კოსტა ხეთაგუროვის დაბადების ოთხმოცი წლისთავი. მისი ლიტერატურული მემკვიდრეობა მთლიანად გადაითარგმნა ქართულ ენაზე და ნაწილობრივ რუსულ, უკრაინულ, სომხურ და მოძმე ხალხების სხვა ენებზე.

წამოიზარდა და მომწიფდა ახალგაზრდა ოსი მწერლების მთელი თაობა. მათ შორის ერთერთი პირველი ადგილი ხარიტონ პლიევს უჭირავს. მისი ლექსების ყოველი სტრიქონი გამსჭვალულია ღრმესი სიყვარულით განახლებული სოციალისტური სამხრეთ-ოსეთისადმი, იმ ადამიანებისადმი, რომელთაც თავიანთი გმირული შრომით შესანიშნავი ფურცლები ჩასწერეს ოსი მშრომელი ხალხის ბრძოლისა და აღმშენებლობის მატიანეში. თავის პოემაში „სალიმატ“ ხ. პლიევი დიდის გულწრფელობით, სიღრმითა და სიმართლით გვიხატავს სამხრეთ-ოსეთის ხალხის გმირულ ბრძოლას 1918-20 წლებში. უფრო მოგვიანო ნაწარმოებებში ხ. პლიევი უმღერის საკოლმეურნეო სოფელს, გმირულ წითელ არმიას, ბედნიერ საბჭოთა ახალგაზრდობას. ხარ. პლიევს ეკუთვნის აგრეთვე „ვეფხის-ტყაოსნის“ ოსური თარგმანი. მანვე ახლახან დაამთავრა პოემა „ასლანბეკ და ბუძი“, სადაც მოცემულია ოსი ხალხის ისტორიული წარსული, მისი მრავალსაუკუნეებრივი ბრძოლა თავისუფალი და ბედნიერი ცხოვრებისათვის.

ყურადღებას იქცევს ახალგაზრდა პოეტი თ. გაგლოევი. მისი ლექსების თემატიკა აქტუალურია. მასში ასახულია ჩვენი დიადი ყოველდღიურობა, ის საქმეები და ამბები, რომლებითაც ცოცხლობს ჩვენი დიდი სამშობლო. ამჟამად ამხ. გაგლოევი სწერს პოემას დიდი **სტალინის** ახალგაზრდობაზე, მის მგზნებარე რევოლუციურ მოღვაწეობაზე ამიერ-კავკასიაში.

სამხრეთ-ოსეთის პოეტებმა დიდ ბელადს უძღვნეს ლექსებისა და სახალხო სიმღერების კრებული, რომელიც ძვირფას განძს წარმოადგენს დღევანდელ ოსურ ლიტერატურაში. ნაყოფიერად მუშაობენ ოსი პროზაიკოსებიც. რ. ჩოჩიევმა დასწერა დიდი მოთხრობა „ოცნება“, სადაც ასახულია სამხრეთ-ოსეთის მიერ უკანასკნელ წლებში მოპოებული წარმატება, კერძოდ, ოსი მშრომელი გლეხობის მუშაობა გორი-სტალინირის რკინიგზის გასაყვანად. მეორე ახალგაზრდა პროზაიკოსმა ე. ბეკოევმა დასწერა მთელი წყება ნოველებისა, რომლებიც წარმოგვისახავენ ახალ საბჭოთა ინტელიგენციის და განთავისუფლებული მთიელი ქალების ცხოვრებას.

ფეხი აიდგა და აღორძინდა ოსური ორიგინალური დრამატურგია. ახალგაზრდა დრამატურგმა ამხ. ა. მაკაევმა ახლახან დასწერა პიესა, სადაც იგი გვიჩვენებს ოსი მშრომელი მოსახლეობის იმ შრომითს გმირობასა და ენტუზიაზმს, რომელიც მათ გორი-სტალინირის რკინიგზის მშენებლობის დროს გამოიჩინეს. დრამატურგები ი. კაჩმაზოვი და შავლახოვი სწერენ პიესებს ისტორიულ-რევოლუციურ თემებზე. კაჩმაზოვის დრამა „ისაკი“ გვიხატავს ცნობილი ოსი კომუნისტის ისაკის თავდადებულ რევოლუციურ მოღვაწეობას სამოქალაქო ომის პერიოდში, ხოლო შავლახოვის—ოსი ბოლშევიკი ზნაურ აიდაროვისას, რომელიც გმირულად დაიღუპა ქართველი ხალხის უბოროტეს მტრებთან—მენშევიკებთან ბრძოლაში.

ჰქმნიან რა ორიგინალურ ოსურ მხატვრულ ნაწარმოებებს, სამხრეთ-ოსეთის მწერლები ინტენსიურად მუშაობენ აგრეთვე ევროპული და საბჭოთა კავშირის ხალხთა ლიტერატურის საუკეთესო ნიმუშების გადასათარგმნად ოსურ ენაზე. უკვე გადაითარგმნა და გამოიცა ა. პუშკინის, ლ. ტოლსტოის, მ. გორკის, ანრი ბარბიუსის, ილია ჭავჭავაძის, აკ. წერეთლის, შექსპირის, ესქილის ნაწარმოებები.

ასე წარმტაცია დღევანდელი საბჭოთა ოსეთის ცხოვრება და შემოქმედება. სამხრეთ-ოსეთის უდიდესი სამეურნეო-კულტურული აღმავლობა ერთერთი ბრწყინვალე მაგალითია იმისა, თუ რა დიდი ბედნიერება მოაქვს ხალხისათვის საბჭოთა ხელისუფლებას, **ლენინ - სტალინის** პარტიის ნაციონალურ პოლიტიკას, ხალხთა ურყევ სტალინურ მეგობრობას.

„აბესალომ და ეთერი“ მოსკოვის დიდი თეატრის პლაფონზე

ეხლახან დამთავრდა საქ. ხელოვნების საქმეთა მთავარ კომიტეტის მიერ მოსკოვის დიდი საოპერო თეატრის პლაფონის მოხატვის პროექტზე გამოცხადებული კონკურსი.

საკონკურსო ჟიურიმ მიიღო და დაამტკიცა აკად. ე. ლანსერეს მიერ წარდგენილი პლაფონის მოხატულობათა ესკიზები. ახალი პლაფონის თემაა საბჭოთა კავშირის ხალხთა მუსიკალური ხელოვნების აპოთეოზი. მოხატულ ვიწრო ჩარჩო-მოაჯირის იქით თითქოს ოქროს ოთხი ქანდაკება დგას. ორი ჯგუფი ფეხზე დგას, ესენი არიან: მომღერალი და მისი მოაკომპანიმენტე-ვიოლინზე დამკვრელი და გიტარის აკომპანიმენტზე მოცეკვავე ქალვაჟი; ორი ფიგურა ზის; ესენი სიმბოლიურად პლასტიკურ ხელოვნებას გამოხატავენ.

პლაფონის კიდეებზე დახატული არიან ინსტრუმენტალისტ-მუსიკოსების ჯგუფები. კომპოზიციის შუაგულში არიან სახალხო მომღერლები, დირიჟორები, კომპოზიტორები. ამ პირველ რიგებს ზევით ტერასებად მაღლდებიან სასცენო ესტრადები, რომელთა გარშემო მოთავსებული არიან პოპულარული ოპერების, მათ შორის, „აბესალომ და ეთერის“ მოქმედი პირები. პირველი ტერასის შუა ნაწილი შემკულია ლოზუნგით: „ხელოვნება შინაარსით სოციალისტური, ფორმით ნაციონალური“.

აკაკი წერეთლის უცნობი წერილი თეატრზე

მცირე რამ შენიშვნა

თეატრი საზოგადოდ უმაღლესი საშკოლო სარბიელია, საიდანაც, ხელოვნურად შეზავებული, სარგო და იმავე დროს სასარგებლო რამ, მსმენელ-მაყურებლებს გრძნობა-გონებას უხიბლავს და ცხოვრების ბრძმედში ატარებს და თუ ეს ღირსება აკლია, მაშინ უბრალო სალაზღანდარო, საფუძვლიანად გადაიქცევა: თ. გ. ერისთავის მაღალმა ნიჭმა და ვარანცოვის მეოხებამ თავდაპირველადვე უტყუარ გზაზე დააყენა ქართული სცენა და მიტომაც მაშინდელ თეატრს მშობლიური სული ედგა და ხორცი ესხა. მუხრავიოვმა დღე დაუმოკლა ძლივ ფეხადგმულს და მის შემდეგ ქართველებს თეატრი აღარ გვღირსებია. ამ თქმას ვიცი ბევრი იუცხოვებს: „სად მაშინ და სად ახლაო“, — იტყვის, როდესაც საკუთარი შენობა გვაქვს და სათეატრო ყოველგვარ საჭირო მასალებით სავსეო. სახელოვანი აქტიორ-აქტრისები გვყვანან და პიესებიც უთვალავი გვიჭირავს ხელშიო“. მართალია, ახლა საკუთარი შენობა აქვს ქართულ თეატრს და ძალიან მაგრათაც აშენებული, თვარა რაც იქ „ვაშა, ვაშას“ ძახილია, კედლები უნდა ინგრეოდეს. მსახიობთა გუნდი შესანიშნავია და პიესებიც მრავალი, განსაკუთრებ ნათარგმნი, ერისთავის დროს კი არც სახლი იყო, არც სცენის მოწყობილობა, არც პიესები, გარდა ანტონოვისა და ერისთავის ვოდევილ-კომედიებისა, მაგრამ მაინც შედარებით მაშინდელი სჯობდა დღევანდელს; რაც იყო მაშინ ქართველისათვის სანიშნაო და სათვალთვალო იყო და დღეს კი ყოლიფერი: „გარეთ მტერს უკლავს გულს და შინ მოყვარეს“. დღეს ქართულ თეატრში, ქართულ სცენაზე დედაენა განსაცდელშია ჩავარდნილი. გულითაც რომ უნდოდეს კაცს, ჩიქორთულის მეტს ვერას გაიგონებს!.. მაშინ, როდესაც სხვა ქვეყნებში, სხვა ხალხებში, ახალგაზრდობა თეატრში მიტომ უფრო დაიარება, რომ დედაენა საფუძვლიანად შეისწავლოს, ჩვენში კი, პირიქით, რაც იცის, უნდა დაივიწყოს და გასწორების მაგივრათ გადიმახინჯოს ენა. ამ ჭეშმარიტებას ჩვენში დღეს ყველა ნათლად ხედავს, მაგრამ მაინც ყველა კი თავს მართლულობს და ერთი მეორეს აბრალებს: „მწერლები ვერ სწერენ კარგის ენითო“, „ცუდათ თარგმნიანო“, „კომიტეტი ყურს არ უგდებს და არას დაეძებს“, „რეჟისორი არ გვყავსო“, „აქტიორები როლებს არ იზეპირებენ“ და სხვა. ეს ყველა თუმცა მართალია, მაგრამ გამტყუნებით კი ყველაზედ უფრო აქტიორ-აქტრისები არიან გასამტყუნარნი: მწერლობა და კომიტეტები საქველმოქმედო სარბიელია უსასყიდლო და აქტიორ-აქტრისები კი სასყიდელს იღებენ. ამას გარდა, ბევრჯერ დავსწრებივარ, რომ კარგის ენით დაწერილი პიესა ავტორს ვეღარ ეცნოს აქტიორების ყბაში ჩავარდნილი. „აქანეი“, „მაქანეი“, „მასთე“, „ბიჭი ვცემე“, „ფაიტონი დამიძახე“, „ჰკუისაგან შემლილა“ და სხვანი.

დღევანდელი სასცენო სამკაულეში გადამთიელია და არ ჩვენებური. ისტორიულ პიესებისათვის ორიოდე დაგლეჯილი ქულაჯა აქვთ, რამოდენიმე ქუდ-ბოხოხა და ორიოდე უქარქაშო დანა-ხანჯალა და მორჩა და გათავდა! ამით აფერადებენ ისტორიულ პიესებს, რომელ საუკუნესაც უნდა ეკუთვნოდეს — შორეულს თუ მახლობელს. გვინახავს რუსთაველი რუსულ ტალმით მორთული და გურიელ-დადიანები სატაკიმასხარო კინტოურ ქამარ-ხანჯლებში გამოწყობილი და სხვანი. მაგრამ ქართულად კი არც ერთხელ! პიესებიც, რასაკვირველია, ბევრი გვაქვს, განსაკუთრებით ნათარგმნები, ბიორნსენმა, მეტერლინკმა, იბსენებმა და სხვათა სცენა მოიკავეს, მაგრამ მათი ხელოვნური დეკადენტობა დღევანდელ ქართველის გრძნობა-გონებას ბევრს ვერას უუბნება. იმათ ახალ პიესებზე ის ძველი ქართული ანტონოვ-ერისთავის ნაწერები უფრო ახლოს არიან.

ერისთავის დასის ხსენებაც აღარსად არის დღეს. მაშინდელ აქტიორ-აქტრისების სახელიც კი დავიწყებულია და დღევანდელებს კი მოწიწებით იხსენიებენ ჟურნალ-გაზეთებში და სახელ განთქმულიც არიან. მართლაც, ბევრი ნიჭიერი ურევია მათში, მაგრამ მაინც ქართული აქტიორ-აქტრისები კი არსად არიან. რაც ადამიანს ბუნებითად არ შეუსისხლხორცებია, იმას როგორ დაასურათებს და მიტომაც ჩვენი ნიჭიერი მოთამაშეები, საბრალო არიან, ევროპიულ, დღევანდელ, დეკადენტურ პიესებში. მაგალითად, მოუხდათ იყოს გაბუნიას ქალი გრეთხენის როლში და ჩერქეზიშვილს რუსის მატუშკაში. აქ იმათ ნიჭიც უმტყუნებთ და შემოქმედებაც.

ჰე, რაღა საჭიროა სიტყვის გაგრძელება! — გადაჭრით ვიტყვი მოკლეთ, რომ დღევანდელი ჩვენი თეატრი არაფერი სასარგებლოა და თუ სხვა გზას არ დაადგა და მიმართულება არ გამოიცვალა, ბევრ ვნებასაც მოგვიტანს.

ახლა ვიკითხოთ: რა გზასა და მიმართულებას უნდა დაადგეს ჩვენი თეატრი? სწორედ იმისთანას, როგორსაც ადგია მალოროსიელები. ამ ოცი წლის წინათ კრაპივნიცკიმ შეადგინა სათეატრო დასი, რომ თავშესაქცევარი წარმოდგენები გაემართა ხოლმე დაბალ წოდებისათვის, რომელიც უქმე-დღეებზე უსაქმურობის გამო კაბაკებში ლოთობით იხრჩობდნენ თავს. სურვილი კარგი იყო, მაგრამ საქმე კი საძნელო, როდესაც ერთი პატარა ვოდევილის მეტი არა მოეპოებოდათ რა მათ კილოზე დაწერილი, გარდა კოტლიარევსკის „ნატალკა პოლტაველი“-სა. ამ ნაკლმა მაინც ვერ შეუშალა ხელი კრაპივნიცკის: იმან მიჰყო ხელი რუსული პიესების გადაკეთებას. ჩაუდგა ადგილობრივი სული, მისცა მშობლიური ფერხორცი. ზოგი თანამედროვე ცხოვრებიდან იყო მითომ აღებული, ზოგიც ან უმეტესი ვითომ ისტორიული მიკიბმოკიბა და გაჩაღა საქმე. პირველ ხანებში სასაცილოთ არ ჰყოფნიდათ ეს საქმე, როგორც სამარცხვინო რამ, არა თუ რუსებს, თვით მალოროსიელებსაც კი, მაგრამ მოკლე ხნის განმავლობაში ფუტკარივით უყარა კრაპივნიცკის დასმა და დღეს ათ გუნდზე მეტია. მოიკიდეს ფეხი არა თუ სამშობლოში, მთელ რუსეთსაც კი მოედვნენ. დადიან ხან აქ, ხან იქ, ყოველ ქალაქებში ადგენენ და სამსახურთან ერთად სახელსაც იმკობენ. რათი გაითქვეს ამისთანა სახელი? და რა მანქანებით? — მითი რომ ამ საქმეს ისევ შეხედეს მალოროსიელებმა, როგორც საზოგადო წმინდა მოღვაწეობას და არა საბავშვო საბურთალო რამ გასართობს, როგორც ჩვენ გვგონია. იმათ დასებში უმაღლეს სასწავლებელ-დასრულებულებიც ბევრი ურევია. ზოგი დოქტორია, ზოგი იურისტი და ზოგი კიდევ ვინ არ გინდა. თითქმის ყველა შეგნებულია და გონება-განვითარებული. ნათარგმნ პიესებს ხელს არ ჰკიდებენ; მისთანას არას წარმოადგენენ, რასაც პირდაპირ დამოკიდებულება არა აქვს მათ სამშობლოსთან ან ისტორიულად, ან თანამედროულ და მომავლის საგულისხმოდ.

სუვორინმა ურჩია ზანკოვეცკის ქალს: თუ ჩემ თეატრში გადმოხვალ და რუსულად დაიწყებ თამაშს, წელიწადში თორმეტი ათას მანეთს მოგცემ და სახელი და დიდება კიდევ სხვა იქნებაო. შენს დიდ ნიჭს რათ ხარჯავ მაგ პატარა საქმეშიო? ამ სიტყვებით შეურაცხყოფილმა არტისტ ქალმა უპასუხა: მილიონიც რომ მომცეთ ჩემი სამშობლოს სამსახურს მისის გაჭირვებით არ გავცვლი სხვა რამეზეო. ჩვენში კი, გარდა ვასო აბაშიძისა, საფაროვის ქალისა და ვ. გუნიასი, არ მინახავს და არც დღეს მეგულება, რომ სასხვათაშორისოთ არ უყურებდეს ქართულ სცენას, და თუ უკეთესი რამ იშოვა, წიხლი არა ჰკრას ჩვენს თეატრს. ნიჭით სავსესა და ჩვენგან ცამდე აყვანილ არტისტს მესხიშვილს აბა თუ ერთი რომელიმე როლი შეუქმნია რომ ჩვენს ცხოვრებიდან იყოს აღებული და ქართული სული ედგას? ამ მხრივ ბალანჩივაძეც კი სჯობნის, და თუ უკეთესი ჩვენი არტისტები, ჩვენი მხატვრებისა არ იყოს, გარეწარები არიან ყოველივე მშობლიურის, სხვებზე რაღა გვეთქმის... ამ გარეწრობის გასამართლებლად ჩვენი, ეგრეთწოდებული, მოღვაწეები წარა-მარა გაიძახიან: ჩვენ რა ვქნათ, რომ ქართველებში არ არის რა, რომ საყურადღებო იყოსო! ან სამხატვრო რა არის ან პიესები სადა გვაქვსო?! ვისაც გული უშლის, ის ვერც დაინახავს და ვერც გაიგონებს! რა მიზეზია, რომ მალოროსიელებს სულ ათი თუ ოცი პიესა აქვთ, ისიც გადმოკეთებული, მეტი არა, და ამდენი ხანია იოლს მიდიან: თითო პიესას წელიწადში ოც-ოცჯერ ადგენენ და ხალხი მაინც სიამოვნებით დადის? და ჩვენები კი გვარწმუნებენ, რომ ქართველი კაცი ერთხელ ნახულ პიესას მეორეთ აღარ ნახავსო? ეს დიდი ტყუილია, ხელოვნება ისეთი რამეა, რომ ვისაც ის მოხიბლავს, მისგან მოხიბლული კი არ გაურბის, პირაქეთ, სცდილობს რომ ხშირად ადევნოს თვალ-ყური და ინეტაროს. პიესა რაც უფრო ნიჭიერად არის დაწერილი, მით უფრო ძნელი სათამაშოა, უნიჭო არტისტებს შეუძლიათ ისე დაამახინჯონ დაწერილი პიესა, რომ მაყურებელს ზიზღი მოჰგვარონ და შეაძულონ. და აგრე უბრალო რამე ისე კარგად შეიძლება ითამაშო, რომ დამსწრეთ ისიამოვნონ. რაც უფრო მაღალი და ძლიერი როლია იმას უფრო ძლიერი ნიჭი ეჭირვება, მაგრამ მიუხედავად ამისა პირველ როლებს ყველანი ეტანებიან, აქაოდა კარგი როლია და თავისთავად გამოიტანს ჩვენს უნიჭო თამაშსო! ავიწყდებათ, რომ უნიჭო აქტიორისათვის ყველა როლი მიუწვდომელია, დიდიცა და პატარაც, და ნიჭიერისათვის კი სულ ერთია. დიდშიც და პატარაშიაც გამოიჩენს ღირსებას. მალოროსიელების არტისტებს ეს ჭეშმარიტება შეუგნიათ და მწყობრად თამაშობენ. სუფლიორის იმედით არ თამაშობენ და ბუტკას არ შეჩერებიან, ჩვენში კი ისე გამოდიან სცენაზე, რომ თავისი სათქმელი სიტყვებიც არ იციან, თორემ მთელი პიესა არც წაკითხული აქვსთ და არც მისი დედააზრი იციან, და რაღა უნდა დაგვისურათონ? რაღა ბევრი გავაგრძელოთ სიტყვა, ვიტყვი გადაჭრით.

1) უნდა გადათვალიერდეს ჩვენი პიესები და რაც სასარგებლო არ არის, გამოიძეოს რეპერტუარიდან.

2) ენა უნდა გადასწორდეს.

3) რეჟისორმა ჯერ უნდა წაუკითხოს არტისტებს თავიდან ბოლომდე პიესა, გააცნოს დედააზრს, აუხსნას თითეულს მომქმედი პირის ხასიათი და ყველა მასთან როლი დაურიგოს, რომელიც მის ნიჭს შეჰფერის.

მოთამაშეებმა ჯერ უნდა გაიზეპირონ თავიანთი როლები და მერე დაიწყონ რეპეტიციები. ინტრიგებს და კულისურ მითქმა-მოთქმებს ერიდონ და მეტაფორების იმედით არ იყონ ხოლმე. თუ ამ გზას დაადგებიან, მე დარწმუნებული ვარ, რომ ჩვენი თეატრი სახელს დაიბრუნებს და მაშინ ესენი კი აღარ შეეხვეწებიან პუბლიკას — „იარეთ ღვთის გულისათვის, საქველმოქმედო საქმეაო“, თითონ პუბლიკა ეცდება მათ ხშირად ნახვასა და სცენის თვალყურის დევნებას.

○

აკაკი წერეთლის ეს უცნობი წერილი მსახიობ ქალ მაკო საფაროვ-აბაშიძესთან იყო დაცული.

წერილი დაწერილია რვეულის ფურცლებზე აკაკის ხელით. სამწუხაროდ, დათარიღებული არ არის, მაგრამ თვით წერილის შინაარსის მიხედვით შევეცადეთ აღგვედგინა მისი დაწერის თარიღი. წერილი დაწერილი უნდა იყოს დაახლოებით 1900-იან წლებში.

წერილი ამჟამად ინახება საქართველოს თეატრალურ მუზეუმის ფონდში 32/1. №-ით.

მერაბ ლორთქიფანიძე

აკაკი და „ჯეჯილი“

„არც ერთი ყოველთვიური ან დროგამოშვებითი გამოცემა არ ყოფილა ჩვენში ისე სათანაგრძნობო ჩემთვის, როგორც ეს პატარა ჟურნალი. უნაკლო ქვეყნად არა არის რა, მაგრამ ის არ შეგვიძლია ვთქვათ, რომ ეს საყმაწვილო ჟურნალი უხეიროდ გამოდიოდა“, — სწერდა აკაკი წერეთელი „ჯეჯილის“ არსებობის ათი წლისთავთან დაკავშირებით (იხ. „ჯეჯილი“, 1899 წ. № 12).

1889 წლის დამლევს, როდესაც მზადდებოდა „ჯეჯილის“ პირველი ნომერი, აკაკი წერეთელი უკვე პოპულარული პოეტი და არა ნაკლებ პოპულარული საზოგადო მოღვაწე იყო. საქართველოს კულტურულ ცხოვრებაში არ ყოფილა, ვგონებ, ისეთი საქმე და წამოწყება, დაწყებული ეროვნული თეატრით და გათავებული სკოლით, რომლითაც აკაკი არ დაინტერესებულიყოს და რომლისთვისაც მას დახმარება არ გაეწიოს. განა ამის შემდეგ შეეძლო მას გვერდი აექცია ქართული საბავშვო ჟურნალისათვის — ფაქტიურად პირველი საბავშვო ჟურნალისათვის საქართველოში, თუ არ ჩავთვლით მეტად მცირე ხანს არსებულ ჟურნალ „ნობათს“?

აკაკის შემოქმედების მრავალმხრივ საგანძურში ბავშვებს უკანასკნელი ადგილი არ ეჭირათ. პოეტს კარგად ესმოდა, რომ ბავშვები საქართველოს მომავალს წარმოადგენენ, ამიტომ თავის მოვალეობად მიაჩნდა მშობლიური მეტყველებისადმი სიყვარულის განმტკიცება მათ შორის, ხელის შეწყობა იმისთვის, რომ ისინი მიეჩვეოდნენ კითხვას ქართულად.

ეს მეტად ძნელი საქმე იყო მაშინ, როცა ქართულ ენაზე თითქმის არ არსებობდა საბავშვო ლიტერატურა. რაღა თქმა უნდა, აკაკი აღტაცებით მიეგება „ჯეჯილის“ გამოცემას და დასწერა კიდეც მისი პირველი ნომრისათვის პოემა ლექსად „მერცხლისა და ჭიჭყავის ომი“. ამ პირველმა ნომერმა, რომელსაც ამშვენებდნენ ქართული ლიტერატურის საუკეთესო სახელები, უკვე ცხადად დაანახვა ყველას, რომ სერიოზული და საშვილიშვილო საქმე კეთდებოდა. არ იყო მწერალი არც ძველი თაობის და არც ახალგაზრდებს შორის, რომელსაც თავის ზნეობრივ მოვალეობად არ ჩაეთვალოს ჟურნალისათვის მოთხრობის ან ლექსის გადაცემა. აკაკი „ჯეჯილის“ გამოცემის პირველ დღიდანვე გახდა მისი მეგობარი და დარჩა ასეთად თავის სიკვდილამდე. „ჯეჯილში“ დაიბეჭდა უამრავი მისი ლექსი, არაკი, ბავშვებისათვის გადაკეთებული ხალხური თქმულება და სხვ. და ასე გრძელდებოდა წლიდან წლამდე.

„ჯეჯილში“ დაბეჭდილი აკაკის ნაწერები უმთავრესად ეხებოდნენ ცხოველებსა და ფრინველებს, ცხოველთა და ფრინველთა სამყარო შეადგენდა მისი ნაწერების მთავარ თემას.

მაგრამ აკაკი არ კმაყოფილდებოდა მარტოოდენ ლიტერატურული მონაწილეობით „ჯეჯილში“. იგი ყოველნაირად ეხმარებოდა ჟურნალს და რედაქციას — აძლევდა რჩევას და სხვ. მის წარმტაც სახეს და ახოვან ფიგურას ხშირად ხედავდნენ რედაქციაში. იგი როგორც მახლობელი დადიოდა რედაქციაში და იქ ჟურნალის დამაარსებელი და ფაქტიური რედაქტორი ანასტასია თუმანიშვილი-წერეთელი და რედაქციის მდივანი სოფიო ციციშვილი ყოველ წვრილმანზე ესაუბრებოდნენ მას, უყოფდნენ თავიანთ მწუხარებასა და სიხარულს. 1905 წელს ციციშვილი გარდაიცვალა. აკაკიმ საუკეთესო ლექსი მიუძღვნა ამ დაუცხრომელ და უჩინარ მუშაკს.

არავის აკაკიზე უკეთ არ განუსაზღვრავს ის მნიშვნელობა, რომელიც ქართული კულტურისათვის, მისი აზრით, „ჯეჯილს“ ჰქონდა. 1910 წელს, ამ ჟურნალის ათი წლის არსებობის აღნიშვნის დროს ქუთაისის თეატრში, აკაკიმ, სხვათა შორის, სთქვა: „როდესაც პატარა პრუსიამ დიდი საფრანგეთი დაამარცხა, მაშინ ყველამ აღიარა, რომ ამ გამარჯვებაში სახალხო მასწავლებელს დიდი წილი უდევდა, რომ სწავლა-განათლება ხალხის გამაღონიერებელია (ეს ადგილი ამოღებულია აკაკის სიტყვის შავიდან, რომელიც ინახება საქ. სახელმწ. ლიტ. მუზეუმში, № 56).

განა ეს სიტყვები უდიდეს შეფასებას არ წარმოადგენენ „ჯეჯილის“ რედაქციისათვის?

მიხ. ხელთუბნელი

ბიბლიოთეკა

აკაკი წერეთლის დაუბეჭდავი ლექსი

ჩემს ძვირფასს დასა და მეგობარს ელისაბედ თარხნიშვილის ქალს სახსოვრად

ცხოვრებაში ყოველთვის,
ყველგან ნამეტანი ვარ,
არც მტერს და არც მოყვარეს
მე არ გავუტანივარ.

ბოლოს შეგვხდი ერთად-ერთს,
მაგრამ რაღა დროსია:
სასიკვდილო სუდარა
კიდეც შემიმოსია...

1904 წელი, 24 იანვარი.

○

საქართველოს მუზეუმში დაცულ აკაკის ხელნაწერებზე მუშაობის დროს, შეგვხვდა ზემოდმოყვანილი ლექსი. იგი წარმოადგენს ავტოგრაფს და შეტანილია ცალკე კრებულში (ნ 1488). ელისაბედ თარხნიშვილის ქალს ხსენებული ლექსი 1928 წ. აგვისტოში გადაუცია მუზეუმისათვის.

ლექსი დღემდე დაბეჭდილი არ ყოფილა. იგი არ აღმოჩნდა აკაკის თხზულებათა გამოცემებსა და ჟურნალ-გაზეთებში.

ზემოდმოყვანილი ლექსი აკაკის „ჩემ თავგადასავალთან“ ერთად მიუძღვნია ელისაბედ თარხნიშვილისათვის (აღსანიშნავია, რომ პოეტის მეორე ლექსი—„ნეტავ იმას, ვინც შენს ტკბილ ხმას ერთხელ კიდევ გაიგონებს“ — მასვე მიეძღვნა იხ. გაზ. „თემი“, № 1912 წ., № 53).

ორიოდე სიტყვა ლექსის ადრესატზე. ელისაბედ თარხნიშვილისა დაიბადა 1883 წ. სწავლობდა თბილისში, შემდეგ წავიდა საზღვარგარეთ. დაბრუნების შემდეგ ოთხი წელი დაჰყო პეტერბურგში, სადაც სიმღერას სწავლობდა. იქ მიიღო მუსიკალური განათლება და შეისწავლა ევროპიული ენები (ფრანგული, გერმანული, იტალიური). შემდეგ წავიდა მილანში, სადაც სამ წელს დაჰყო. გამოდიოდა ოპერებში. 1910 წ. კომპოზიტორ მასკანის მიწვევით გაემგზავრა ამერიკაში, მიიღო მონაწილეობა ნიუიორკში გამართულ საოპერო წარმოდგენებში. 1911 წ. დაბრუნდა საქართველოში და განაგრძობდა არტისტიულ მოღვაწეობას თბილისის ოპერის თეატრში.

ბ. ჟღენტი.

აკაკი წერეთლისადმი

გრიგოლ ცეცხლაძე

ჩვენ სიყრმიდანვე შენს სიყვარულს ვატარებთ გულით.
სიტყვა პოეტი შენს მზე-სახეს წარმოგვიდგენდა;
გვხიბლავს ოცნება ტაეპებად ამოქარგული,
შენს სურათს ვუცქერთ და მუზათა გვჯერა ლეგენდა.

შეუცნობელი შთაგონების გვჯერა არსება,
გვჯერა—რჩეულში გამჟღავნდება გენია ერის,
სიტყვის ქუროში უსხეულო სულს ემსგავსება,
იდუმალ გრძნობით ის ხალხს ერთვის და ხალხი მღერის.

შენი ნათელა ნათელ მხარეს ეხლა შეჰხარის,
ჩონგურის სიმებს სიხარულით ათრთოლებს ხელი,
შენი „სულიკო“ ხალხს შეეტკბო, ის ხალხის არის,
ვით თავის პირმშოს, მას განიცდის ყოველი მთქმელი.

აკაკი ქუთაისის ბაღში

გიორგი გიასელი

ნაზთ, გაშლილი ყაყაჩოსავით,
შეყვარებული ყვავილთა ფესვებს —
გაშლილ ვარდებში იჯდა მგოსანი
და ბულბულივით მღეროდა ლექსებს.

ნახა, ნიავი რტოს როგორ ხრიდა,
რომ მერე ისევ ცაში ავარდეს.
ნახა, ბულბული შეფოთლილ ხიდან
როგორ შეტრფოდა გულღია ვარდებს.

მას აღტაცების ხმა შემოესმა
და იდუმალი ბუჩქთა შრიალი.
იმავე ღამით იმღერა ლექსად
ბულბულისა და ვარდის ტრფიალი.

რა კარგი იყო ჩიტის ნავარდი,
რა ტკბილად სტვენდა ლერწმის ღეროდან, —
პოეტმა ლექსში ჩაფურცლა ვარდი
და ბულბულივით თვითონ მღეროდა.

მღეროდა... სწუხდა სამშობლოს სვე-ბედს,
მხატვარის გული რამდენ რას უძლებს!
ის ეხვეოდა ყვავილებს, ვარდებს
და ყვავილებიც აყრიდნენ ფურცლებს.

ბაღში ლექსებზე ჩაფიქრებული
და მიყრდნობია მწუხარედ ამ ხეს...
ეს კვიპაროსიც, რომ გარინდულა,
იქნებ იგონებს აკაკის სახეს!

ყვავილებს წვიმა გრილ შხეფებს აცრის,
მგოსანი ახლა ისვენებს ჩემთან, —
მაგრამ მზე გაჩნდა ცაზე უეცრივ
და აკაკივით ბაღს დააჩერდა.

სთქვა: რა მდუღარე, რა ცეცხლი მწვავდა,
ცრემლი სდიოდა მთიდან ბარამდი, —
ჩემი სამშობლო ვინც ააყვავა,
დღეგრძელი იყოს იგი მარადის!..

აკაკის ნაწერები ახალგაზრდებისა და ბავშვებისათვის

აკაკის საიუბილეო დღეებისათვის ახალგაზრდობისა და საბავშვო ლიტერატურის გამომცემლობა სცემს პოეტის ერთტომეულს, რომელშიაც მოთავსებული იქნება პოემები, მოთხრობები და რჩეული ლექსები. წიგნის ზომაა 15 ნაბეჭდი ფურცელი.

ცალკე წიგნად გამოიცემა აკაკის პოემა „თორნიკე ერისთავი“.

მცირეწლოვანთათვის გამომცემლობა ცალკე წიგნად სცემს აკაკის ცნობილ საბავშვო ლექსს — „პეპელასა და ყმაწვილს“. ლექსი ფერადი ილუსტრაციებით გამოვა.

გამომცემლობა „ზარია ვოსტოკა“

სახელმწიფო გამომცემლობა „ზარია ვოსტოკა“ აკაკი წერეთლის იუბილისათვის გამოსცემს გ. აბზიანიძის მონოგრაფიას „აკაკი წერეთელი“ და აკაკი წერეთლის — „ლექსებისა და პოემების“ ერთტომეულს; თარგმანები შესრულებულია კოჩეტკოვის, ბრიკის, ივნევის, სერებრიაკოვის, ჩაჩიკოვის, ელენე შერის და სხვათა მიერ. ერთტომეულს წამძღვარებული ექნება ბესო ჟღენტის წინასიტყვაობა.

აკაკი, როგორც ადამიანი

ი. ტალახაძე

13 წლისა ვიყავი, როდესაც აკაკი ვნახე და პირადად გავიცანი. აკაკის სახლი ჩვენ სოფელზე 3 კილომეტრით იყო დაცილებული და მისი მოხუცი და ანა კი, რომელსაც ჩვენი სოფლის ყოველი გლეხი იცნობდა და ემადლიერებოდა, ხშირად მენახა.

ჩემი გაცნობა აკაკისთან შემთხვევით მოხდა და ამ ბედნიერმა შემთხვევამ ჩემ მომავალ ცხოვრებაში გადამჭრელი როლი ითამაშა.

იმ დროს მე სოფლის დაწყებით სკოლას ვათავებდი ფრიადებზე, მაგრამ არავითარი სახსარი არა მქონდა სწავლა განმეგრძო. ეს გარემოება აწუხებდა ჩემს მასწავლებლებსაც. სწორედ ამიტომ ერთი მათგანი, ი. ღამბაშიძე, ყოველ მხრივ ეცადა ჩემთვის საშუალება აღმოეჩინა, და აკაკის მიმართა.

ერთ დღეს მასწავლებელმა ღამბაშიძემ დამიძახა და მითხრა, მეორე დღეს აკაკისთან გამოვცხადებულიყავ სხვიტორში, თანაც დაუმატა, მოველაპარაკე აკაკის შენს შესახებ და დახმარება ვთხოვეო. აკაკის უპასუხნია — „მოვიდეს თქვენი ნაქები კაცი, თვითონ ვნახავ“-ო.

ამ სიტყვებზე სიხარულით და თანაც სირცხვილით გავწითლდი. მიხაროდა აკაკის ნახვა, მიხაროდა რომ მან ღირსად მცნო მენახა, მიხაროდა, რომ მასწავლებელმა მის წინაშე მაქო, მიხაროდა, რომ ეს სახელოვანი ადამიანი სწავლის სახსარს აღმომიჩენდა, თანაც მრცხვენოდა: ვერ წარმომედგინა, როგორ უნდა წარვმდგარიყავი ასეთი დიდი პოეტის წინაშე. ვაი თუ სირცხვილი მჭამოს: ნაქები სამარცხვინო გავხდე-მეთქი. მე ხომ ჩემი მასწავლებლების მეტს დიდ ადამიანს ჯერ არავის დაველაპარაკებოდი.

იმ დღეს არაჩვეულებრივ სულიერ აღელვებას განვიცდიდი. მთელი ჩემი ცოდნა გონებაში გადავათვალიერე რამდენჯერმე, განსაკუთრებით ის, რაც აკაკის ნაწარმოებებიდან მქონდა შესწავლილი. აღმოჩნდა, რომ, მცირე გამონაკლისს გარდა, ვიცოდი მისი ყველა პოემა, მოთხრობა და ლექსების დიდი რაოდენობა. მაინც ზოგი კიდევ გადავიკითხე და ხმა მაღლა გავიმეორე. შუაღამემდე არ მომისვენია და მოქანცულს მაგრად ჩამეძინა.

აკაკისთან მეორე დღეს ორ საათზე უნდა გამოვცხადებულიყავ (როგორც შემდეგ გავიგე, აკაკი იძინებდა არა უადრეს ღამის 3 საათისა და დგებოდა 12-1 საათზე). ეს დღე ნაწვიმარი, ტალახიანი იყო, მაგრამ ჩემთვის იგი მზე-ბედნიერი აღმოჩნდა.

ერთი რამ მაღონებდა: ძალზე დაძველებული ტყავის წუღები მქონდა, შესაძლო იყო სადმე ტალახში ჩამრჩენოდა ან ისე მოვსვრილიყავი, რომ აკაკის ბრწყინვალე სახლში შესვლა სამარცხვინო გამხდარიყო. მაგრამ ეს სიძნელე ადვილად დავძლიე. გადავწყვიტე — აკაკის სახლამდე ფეხშიშველა მივსულიყავ, იქ კარის წინ მდინარე ჩიხურაში ფეხს დავიბანდი და მშრალ, სუფთა წუღებს ჩავიცვამდი. ასეც მოვიქეცი. ამ ამბავმა აკაკი მხიარულად აცინა.

აკაკის სახლის აივანზე იდგნენ მისი მსახური კოტე აბდუშელიშვილი თავისი მეუღლე ანიკოთი. ისინი მიცნობდნენ. მათ არა ერთხელ აღმოუჩენიათ ჩემთვის დახმარება. ისინიც დამეხმარნენ აკაკის წინაშე შუამდგომლობაში.

აკაკის ჯერ კიდევ ეძინა. მე ვიცდიდი. ვისაუზმე. შემდეგ კ. აბდუშელიშვილმა გამაფრთხილა — აკაკის ლექსები ხომ იცი, პოეტს უნდა წაუკითხოო. დავარწმუნე, რომ ვიცოდი. ამ ლაპარაკში მან ყურადღება მიაქცია ჩემს წუღებს და გაკვირვებით მკითხა: როგორ მივედი ასე მშრალად ამ ტალახში. შევჩერდი, მინდოდა სხვა მიზეზი რამ მეთქვა, მაგრამ ვერა მოვიფიქრე რა და სიმართლე ვუთხარი. გაიცინა, ჩემი მიხვედრა მოეწონა.

ჩქარა აკაკიმაც გაიღვიძა და ცოტა ხნის შემდეგ მის წინაშე წარვდექი. თავი დავუკარი. ხელი გამომიწოდა. ჩამოვართვი. კიდევ თავი დავუკარი და იქვე დავდექი. სკამზე მიმითითა და მითხრა დავმჯდარიყავი. მე შევჩერდი და განვაცხადე, რომ ფეხზედაც კარგად ვგრძნობ თავს-მეთქი, მინდოდა დამემატებინა, რომ დიდი აკაკის წინაშე ფეხზე დგომაც დიდი ბედნიერებაა, მაგრამ ვერა ვთქვი, ხმა დამეკარგა და ჩავჯექი.

აკაკიმ მკითხა, რამდენი წლისა ვარ და, რომ გაიგო, გაიმეორა — ცამეტი წლისა! ტანად შეიძლება 16-იც მეფიქრაო.

— რომელ კლასში ხარ?

— მეხუთე განყოფილებას, ე. ი. ორ კლასს ვამთავრებ.

— ამბობენ, კარგათ სწავლობ, — და კ. აბდუშელიშვილზე მიმითითა, — ამანაც დამიდასტურა.

მე სირცხვილით თავი ჩავღუნე და არაფერი არ ვუპასუხე.

აბდუშელიშვილმა უპასუხა.

— ძალიან ნიჭიერი ბავშვია. აბა შეხედეთ, ბატონო: სამი ვერსი გამოუვლია და ფეხზე ტალახიც არ მოსცხებია (აკაკიმ ფეხზე შემომხედა).

შემდეგ მან აკაკის უამბო, თუ როგორ მოვახერხე მშრალად მოსვლა. აკაკიმ მადიანად გაიცინა და სთქვა:

— ბაბუა შენი კიკოლა ტალახაძეც ძალიან ჭკვიანი კაცი იყო, არას წააგებ, თუ მისი ნიჭი გექნება.

მე კიკო ტალახაძეზე უფროსებისაგან გამეგონა, მაგრამ თვითონ არ მოვსწრებივარ.

აკაკიმ სუფრაზე მიმიწვია. მე ავდექი, მადლობა გადავუხადე და განვუცხადე, უკვე ვისაუზმე-მეთქი.

კოტე აბდუშელიშვილმა დაიწყო:

— ბატონო აკაკი, ნუ ეტყვით უარს, ერთი კარგი ლექსი თქვას ამ ბავშმა.

აკაკიმ თანხმობა გამოსთქვა.

წამსვე ავდექი და მოვემზადე. მაგრამ... სამწუხაროდ... აღმოჩნდა, თითქოს არც ერთი ლექსი არ მახსოვდა. გავფითრდი. შემრცხვა და შემეშინდა კიდეც, რადგან გავიფიქრე, რომ ამ წუთს შეეძლო ჩემთვის ვნება მოეტანა.

აკაკიმ შემატყო აღელვება და დასამშვიდებლად საუბარი დამიწყო: რა და რა ლექსები გისწავლიაო.

მე დავასახელე აკაკის ლექსებიდან ათი მაინც და ბოლოს პოემა „თორნიკე ერისთავი“.

— ნუ თუ ასეთ გრძელ პოემებს სწავლობთ სოფლის სკოლაში? — მკითხა აკაკიმ.

— არა ეს მე თვითონ წავიკითხე, მომეწონა.

— მერე განა მისი შინაარსი გაიგე?

დიახ, მესმის, ის მოგვითხრობს ძველ საქართველოს გმირებზე და სამშობლოსადმი მათ სიყვარულზე, თავდადებაზე.

აკაკის ჩემი პასუხი მოეწონა. შესაძლოა გაუკვირდა კიდეც, რადგან ცხვირიდან სათვალეები მოიხსნა და მეორე სათვალეები გაიკეთა. შემდეგ კარგად დამათვალიერა თავიდან ფეხებამდე, გაიღიმა და აბდუშელიშვილს რაღაც რუსულად უთხრა.

მე ამხანად გამბედაობა დამიბრუნდა და ყველა ლექსი მომაგონდა. ეხლა მზად ვიყავ თუ გინდ ლექსთა მთელი კრებული ზეპირად წამეკითხა.

— მაშ „თორნიკე“ წაგიკითხავს? — ნელი ხმით მკითხა აკაკიმ.

— დიახ, ზეპირადაც ვიცი.

— აბა, გვიჩვენე, როგორ იცი,— მითხრა აბდუშელიშვილმა.

ბევრი თხოვნა აღარ დამჭირდა. დავიწყე. ორი თავი შეუსვენებლად წავიკითხე. დეკლამაცია რიგიანად (ან შესაძლოა რიხიანად) გამოვიდა.

აკაკიმ შემაჩერა და ხელით მაჩვენა დავმჯდარიყავ.

— მზად ვარ, ყოველ მხრივ მოგეხმარო. ქიათურის მრეწველთა კომიტეტს სტიპენდიის წავართმევ. ამხანად ქიათურის სკოლაში მოგაწყობ, შემდეგ ქუთაისშიაც გადაგიყვან, თუ კარგად ისწავლი.

მე წამოვდექ. მადლობა გადავუხადე და დავუმატე—ვეცდები სულ უკეთ და უკეთ ვისწავლო მეთქი.

აკაკიმ აბდუშელიშვილს მიმართა და ისეთი აზრი გამოსთქვა, რომ მას, აკაკის, შავი ქვის მრეწველობის საქმეში ერთგვარი ღვაწლი მიუძღვის. მაგრამ ეხლა მრეწველებს ეს არც ახსოვთ, ჩარხი მუდამ ჩარხის ქურქს ატარებსო.

აკაკიმ ჯიბეში ხელი ჩაიყო და საფულე ამოიღო. გახსნა. ერთი თუმნიანი მაჩუქა და მორცხვად დაუმატა:

— ფეხსაცმელები იყიდე. ყოჩაღად იყავი. ეცადე სწავლას. დახმარებას არ დაგაკლებ.

მინდოდა მადლობა მეთქვა, მაგრამ ყელში რაღაც მომაწვა და ხმა ჩამიწყდა. ფეხზე გავშეშდი.

— კოტე (აბდუშელიშვილი) შეგატყობინებს ჩემი ცდის შედეგს,— მითხრა აკაკიმ და ზეზედ წამოდგა.

სახლის მეორე აივანზე მას მოსული გლეხები უცდიდნენ და იქით წავიდა.

აკაკი თუმცა მემამულის შვილი იყო, მაგრამ თვითონ ღარიბად ცხოვრობდა. მისი მცირე რაოდენობის მიწები მეზობელ გლეხებს იჯარით ეჭირათ. ნამდვილად-კი არც ერთი მათგანი იჯარას არ იხდიდა. ამ საქმეში ერთგვარი წილი თვით აბდუშელიშვილსაც მიუძღოდა. ის თვითონ მშრომელი კაცი იყო და გლეხებთან კარგი განწყობილება ჰქონდა. მათ იჯარის ფულზე არ აწუხებდა. არც აკაკი ატანდა ძალას.

გლეხებზე იჯარის ფული წლითიწლობით გროვდებოდა, აკაკის სოფლად ჩამოსვლამდე. მის ჩამოსვლას კი აბდუშელიშვილი გლეხებს წინდაწინვე ატყობინებდა და ურჩევდა, პოეტთან მისულიყვნენ და მისთვის იჯარის ფულის პატიება ეთხოვათ. მოიჯარადრეები ასეც იქცეოდნენ. საკმარისი იყო აკაკისთვის განეცხადებიათ, რომ მოსავალი ცოტა იყო, რომ ღარიბები არიან და სხვა, აკაკი თვითონვე დაასწრებდა ხოლმე და ეტყოდა:

— ვიცი, ვიცი, რომ თქვენ იჯარის ფული არა გაქვთ. ნუ შეწუხდებით. გლეხის ნაშრომი არ შემერგება. ეცადეთ, ტყესაც და ბაღებსაც კარგად მოუარეთ. მე მათ არსად წავიღებ, თქვენი იქნება.

შემდეგ აკაკი პირადად მიმართავდა ხოლმე მოხუც გლეხებს, რომლებსაც კარგად იცნობდა. ბევრ მათგანს სადილად მიიწვევდა ხოლმე. მათთან საუბრობდა. სოფლის ავ-კარგს ჰკითხავდა გულმტკივნეულად და დაინტერესებით. ყველას ურჩევდა შვილებისათვის ესწავლებინათ და გლეხურ დოხჭირ ცხოვრებისათვის თავი დაეღწიათ.

ერთი საუბრის დროს მოხუცმა გლეხმა ა. ზაბახიძემ შესჩივლა აკაკის, რომ მას ბოქაულმა სცემა და კბილები ჩაამტვრია.

აკაკიმ უპასუხა:

— ბოქაულები უმართებულო და მჩაგვრები არიან საყოველთაოდ. ისე აბა მათ ბოქაულად ვინ დანიშნავს. დადგება დრო და მათ გადაახდევინებენ შენ კბილებს თითოს ათად. შენ ეცადე შვილიშვილებს ასწავლო და ისინი ცხოვრების ისეთ გზას მონახავენ, რომ ბოქაულებს სამუდამოდ მოსპობენ.

გლეხებს აკაკი და მისი ოჯახი (სოფლად ცხოვრობდა მისი მოხუცი და ანა) ძალიან უყვარდათ. მის სახლს, ვენახს, ეზოს მზრუნველობით უყურებდნენ და მუშაობაში შველოდნენ. ანა გლეხებს აგრეთვე უფასოდ ექიმობდა. ბევრს საქმეში რჩევა-დარიგებით ეხმარებოდა.

მაკვირვებდა აკაკის უბრალო, თავაზიანი მოპყრობა, მისი გულჩვილი, გულმტკივნეული დამოკიდებულება ყოველ გაჭირვებულისადმი.

აკაკი არაჩვეულებრივი დემოკრატი და ზრდილობიანი ადამიანი იყო. უყვარდა მშრომელი გლეხი. სძულდა თავად-აზნაურობა, მუქთა მჭამელები.

შეხვედრის დროს ჩემთვის ბევრჯერ უთქვამს:

— ბევრი აზნაურის შვილებს დავეხმარე, გზა გავუკაფე, მაგრამ ყაჩაღები გამოდგნენ. გლეხის შვილებს კი არას დროს არ შევურცხვენივარ.

პირადი ცხოვრებაც მეტად უბრალო და ღარიბული ჰქონდა აკაკის. ცხოვრობდა თბილისში მატერიალური ქუჩის კუთხეში, ერთ პატარა სახლში, ღარიბულად მორთულ სამ ოთახში. სამივე ოთახი წიგნებით იყო სავსე. ორი თუ სამი სავარძელი და ხუთიოდე სკამი იყო ამ ოთახების მორთულობა.

მის სახლში არ გამოილეოდა დახმარებისათვის მისული გაჭირვებული ადამიანი.

ჰყავდა ერთი მოსამსახურე, შუახნის გლეხი (რაჭველი. აკაკის რაჭველი გლეხები უყვარდა. „ჩვენში ისინი ყველაზე პატიოსანი და შრომის მოყვარულები არიანო“,—იტყოდა ხოლმე) ნიკო, რომელიც გაჭირვებულ მისულებს ისე ეგებებოდა, როგორც მამა ომიდან დაბრუნებულ შვილს. ასეთი დავალება ჰქონია მას აკაკისაგან.

დიდი პოეტი გულჩვილი, სათნო და დიდსულოვანი ადამიანი იყო.

შეხვედრები ვლ. მაიაკოვსკისთან

ნატო ვაჩნაძე

თბილისში

ჩემი პირველი შეხვედრა და გაცნობა დიდ რუს პოეტთან ვლადიმერ მაიაკოვსკისთან 1926 წელს მოხდა. იმ წელიწადს მაიაკოვსკი თბილისში ჩამოვიდა, სადაც მისი საღამო იმართებოდა.

ნიკოლოზ შენგელაიამ, ჩემმა ქმარმა, რამდენიმე ქართველ პოეტთან ერთად მაიაკოვსკი სადილად შინ მოიწვია. პირველ შეხვედრისთანავე გაქრა ჩემი მღელვარება, როგორც დიასახლისისა, ასევე ადამიანისა, რომელიც სახელგანთქმულ ადამიანს უნდა შეხვდეს. შემოვიდა ბინაში ეს დევისტანადი კაცი და თან შემოჰყვა გასაკვირალი უბრალოება, სითბო და ალერსი. მეორე წუთშივე ისე ვგრძნობდი მასთან თავს, თითქოს დიდიხნის მეგობრები ვყოფილიყავით.

ისე გაიარა დრომ, ვერც შევნიშნეთ. ცხრა საათი სრულდებოდა. როცა მაიაკოვსკი უეცრად წამოდგა:

— მეგობრებო, დროა თეატრში წავიდე!

სიტყვა ჩამომართვა, რომ მეც მივიდოდი და გასწია.

ცოტა დაგვიანებით მივედით მე და შენგელაია თეატრში. საღამო უკვე დაწყებულიყო. როცა დარბაზში შევედით, დავინახე მაიაკოვსკი სცენაზე იდგა და ლექსს კითხულობდა.

დარბაზში ბევრი იყო ხალხი. დანაჯდომ ადგილს ვეძებდით და იქით-აქეთ ვიხედებოდით.

შევნიშნე ერთი გარემოება: მრავალი შემოგვცქეროდა მე და შენგელაიას. მე ახლად გათხოვილი ვიყავ. ვნერვიულობდი, რომ ასე მივიყარით ყურადღება და ასეთი ურცხვი ცნობისმოყვარეობით შემოგვცქეროდნენ. მზად ვიყავ დამეტოვებინა იქაურობა.

ამ დროს უეცრად სცენიდან მაიაკოვსკის ძლიერი ხმა გაისმა:

— რას დამდგარხართ მანდ სვეტივით, მოიწიეთ აქეთ ახლოს და ჯვარს დაგწერთ!

მთელ დარბაზში სიცილი ატყდა. ჩვენც გაგვეცინა და გულზე მოგვეშვა... ამიერიდან ჩვენი ურთიერთობა ლეგალიზებული იყო.

ვიგრძენი, რომ დარბაზში მყოფი საზოგადოების ერთი ნაწილი უმთავრესად ძველი ინტელიგენციიდან ცუდად იყო განწყობილი მაიაკოვსკისადმი. არ მოსწონდათ მისი ლექსები. განსაკუთრებით არ მოსწონდათ და აღშფოთებდათ პოეტის ტონი და კილო.

საღამოს დამთავრების შემდეგ ისევ ერთად ვიყავით. მაიაკოვსკი უგუნებოთ იყო.

— მათთვის მე არასოდეს და არაფერი მიწერია!—

მოღუშული იყო პოეტი—არც მიკვირს, თუ მათ არაფერი ესმით ჩემი!

პირველად მოსკოვში

რამდენიმე თვის შემდეგ მე იძულებული ვიყავი დამეტოვებინა თბილისის კინო-ფაბრიკა და მოსკოვში წავსულიყავ სამუშაოდ.

უცნობი იყო ჩემთვის ეს ქალაქი. ნაცნობიც თითქმის არავინ მყავდა იქ. სადღაც საერთო საცხოვრებელში დავბინავდი. ის იყო უიმედობამ შემიპყრო და ხელი ჩავაქნიე ჩემს მომავალზე, როცა „მეჟრაბპომფილმის“ დირექტორმა მიმიწვია და შემომთავაზა ბოშა-ქალის როლი სურათში „ცოცხალი ლეში“. ამ სურათის ნაწილი ბერლინში უნდა გადაეღო. გახარებული გამოვედი დირექციიდან და პირველი, რაც მაშინ მოვიმოქმედე, ის იყო რომ ვლადიმერ მაიაკოვსკის დავურეკე ტელეფონით. როგორღაც ვერ გამებედნა აქამდე დამერეკა მისთვის. არ მინდოდა ჩემი უგუნებობით შემეწუხებინა.

საოცრად გაუხარდა მაიაკოვსკის ჩემი ჩამოსვლა.

— სადა ხართ? ახლავე მოვალ თქვენთან!

გუგუნებდა ტელეფონში მისი ძლიერი, ვაჟკაცური ხმა.

ნახევარ საათს არ გაევლო უკვე ჩემთან იყო.

მთელი ის დღე ერთად ვიყავით. დიდხანს ვხეტიალობდით ქალაქში.

ჩვეულებრივ საუბარშიაც ის ისეთივე განსაკუთრებული და საინტერესო იყო, როგორც პოეზიაში. დავდიოდი მასთან და ყველაფერი მხნე და ძლიერი მეჩვენებოდა. მხოლოდ ერთხელ შევნიშნე მის ხმაში შორეული სევდა.

— თუ სერიოზულად ფიქრობთ თქვენს კარიერაზე — მითხრა მან— მეორე პლანზე უნდა გადადოთ ზრუნვა და ფიქრი ოჯახზე. ჩაგითრევს, ჩაგახშობს.

სთქვა ეს რაღაც სევდით და მცირე ხნით ჩაჩუმდა. მოაბიჯებდა, აბაკუნებდა თავის ვეება ფეხებს, თითქო საყვედურით ურტყამდა მიწას. მხოლოდ მისი სიკვდილის შემდეგ მივხვდი, თუ რამ ათქმევინა ეს, რა იყო სათავე მისი სევდისა.

ერთხანს მდუმარედ მოდიოდა. მერე ალერსიანად გადმომხედა და გაიღიმა:

— არა, ის კი არ იფიქროთ, რომ ოჯახის დანგრევას გირჩევდეთ, მხოლოდ ვწუხვარ თქვენთვის, — გაორებული არ შეიქნეთ და ამ ამბავმა არ აგაფორიაქოთ. ადამიანი მთელი და სავსე უნდა იყოს!

სთქვა და გაეცინა ხმიანად:

— თავი დავანებოთ ამ მოსაწყენ ნატაციებს. წამოდით, დღეს ჩემი საღამოა პოლიტექნიკურ მუზეუმში.

დარბაზი ხალხით იყო სავსე. საღამომ ძალიან ცოცხლად ჩაიარა. ბევრს ახსოვს მისი ოსტატური კითხვა ლექსებისა. არანაკლებად განსაცვიფრებელი იყო მაიაკოვსკი, როცა შეკითხვებზე პასუხს იძლეოდა. შევნიშნე ერთი გარემოება: ხანდახან პირდაპირ კითხვაზე კი არ იძლეოდა პასუხს, არამედ იმის მიხედვით, თუ როგორი იყო სტილი შეკითხვისა. შეკითხვის სტილის, მისი შინაგანი ხასიათის მიხედვით მაიაკოვსკი უცბად მიხვდებოდა ხოლმე, თუ რა აზროვნების უნდა ყოფილიყო შემკითხველი და ამის მიხედვით ლესავდა თავის მახვილს. ერთ ბარათს მან შეატყო, რომ მისი დამწერი გვარიანი ფილისტერი უნდა ყოფილიყო. მაიაკოვსკიმ წაიკითხა შეკითხვა:

— „ცხოვრების ლირიზმი — ეს ყვავილობაა გრძნობათა. მე დარწმუნებული ვარ, თქვენ უარყოფთ ამას“.

— ჰეი, მოქალაქე! — დაიგუგუნა თავისი ბანით. — იცანით თქვენი შეკითხვა? — **Кудреватые мудрейки, дась!**

დარბაზიდან რაღაც ბურტყუნი გაისმა.

— **Ась? Кудреватые мудрейки... дась!**

ვიღაც კიდევ აბურტყუნდა.

— უფრო გაბედულად, რას იმალებით! — მიაძახა მაიაკოვსკიმ — აყვავილეთ თქვენი გრძნობანი!

ის, ვისაც პოეტი მიმართავდა, უკვე გასუდრული იჯდა. სამაგიეროდ მთელი დარბაზი ხარხარებდა. არ ღირსა იმის გაგებას, უარყოფდა თუ არა პოეტი „გრძნობათა ყვავილობას“.

ერთი დღე აგარაკზე

აგარაკ პუშკინოში წამიყვანა ერთხელ. დასვენების დღე იყო. არ ველოდით, იმდენი ხალხი მოგროვდა. მაიაკოვსკიმ გაგვამარტოვა რამდენიმე კაცი. მოღუშული იყო. მოწყენილობა ემჩნეოდა.

— მინდოდა მხოლოდ თქვენთან გამეტარებინა ეს დღე. აქ კი ამდენი ვინმე მოგროვდა. თავი მომაბეზრეს. ვერსად დავემალე მათ.

როცა განმარტოებულნი მოვენახეს, მაიაკოვსკიმ კიდევ უფრო მოიწყინა. ძაღლი დაინახა ხეივანში მიმავალი, დიდთავა ინგლისური ბულდოგი.

მაიაკოვსკიმ გააჩერა ბულდოგი და თამაში დაუწყო.

ვუყურებდი და შიში მიპყრობდა. მეგობრები ურჩევდნენ თავი დაენებებინა ძაღლისათვის, რადგან გრძნობდნენ, რომ რაღაც გაბოროტებით ეთამაშებოდა იმ საშიშ ცხოველს. პირში უტენიდა თავის ხელს.

— **Владимир Владимирович! — Остерегайтесь мертвой схватки!** — შესძახა ერთმა.

— მეც ეგ მინდა! — რაღაც გაბრაზებით უპასუხა მაიაკოვსკიმ.

ბერლინში

ბერლინში „ცოცხალი ლეშის“ რამდენიმე კადრს ვიღებდით.

საღამოს სასტუმროში ვზივარ მეგობარ მსახიობებს შორის.

უეცრად კორიდორიდან რუსული ლაპარაკი მესმის:

— სადაა ეს ნატო ვაჩნაძე! მაჩვენებთ თუ არა ნატო ვაჩნაძეს!

ამავე წუთში გაიღო კარი და ოთახში ვლადიმერ მაიაკოვსკი შემოვიდა.

— რა დროს სასტუმროში ჯდომაა! — დამტაცა ხელი, ქალაქში გავედით.

— სად წავიდეთ ახლა ჩვენ? რა გაჩვენო აქ? — შეჩერდა წუთით — მუსიკ ჰოლი? სისაძაგლეა! თავი მომაბეზრა ქალის ტიტველმა ფეხებმა.

სპეციალურ კინოში წამიყვანა, სადაც ჩარლი ჩაპლინის პირვანდელ სურათებს აჩვენებდნენ.

უცქეროდა და ბავშვივით იცინოდა. რამდენიმე პატარა ფილმი ვნახეთ. მალე მოწყენილობა შევამჩნიე.

— ესეც მომაბეზრებელია! — ჩაიქნია ხელი — სხვაგან წავიდეთ სადმე!

წამიყვანა ძველებურ ბავარიულ ლუდხანაში.

შორეულ წარსულში მეგონა ვცხოვრობდი, როცა შევყურებდი გაქვარტლულ თაღსა და სვეტებს და საერთო მორთულობას.

ეს დევისტანადი კაცი, რომელიც დიდი კათხებით სვამდა ლუდს, რომლის ბოხი ხმა ძლიერად გუგუნებდა, ყველას ყურადღებას იპყრობდა.

რაღაც ნაღველით იხედებოდა გარშემო მაიაკოვსკი და თითქო მე კი არა, თავის თავს ელაპარაკებოდა:

— მომბეზრდა პარიზი, ეს ბერლინიც... სული მეხუთება აქ... მოსკოვში, მოსკოვში მალე!

იუბილე მოსკოვში

ცივი, მოღუშული დღე იყო.

შემთხვევით გავიგე, რომ ამ საღამოს მწერალთა კლუბში მაიაკოვსკის საიუბილეო საღამო იმართებოდა.

საკვირველი იყო! არსად არაფერი დაწერილა ამის შესახებ.

კლუბის ოთხ ოთახში გამოფენილი იყო პოეტის მხატვრობა. მაიაკოვსკის, როგორც მხატვარს ნაკლებად ვიცნობდი აქამდე. გამაკვირვა სურათების ღირსებამ და სიმრავლემ.

გამოფენილათ მისი წიგნებიც.

მაგრამ რატომღაც მეჩვენა, რომ ნაუცბათევათ შეეგროვებინათ ყველაფერი. მზრუნველი ხელი აკლდა ამ გამოფენას.

ყურადღება მივაქციე იმ გარემოებასაც, რომ ძალიან ცოტა ხალხი იყო. ისიც მხოლოდ ახალგაზრდობა. მწერალთაგან თითქმის არავინ. მისი ახლობელი მეგობრებიც კი არა.

დაიწყო საღამო. ვიღაც ახალგაზრდამ ითხოვა სიტყვა. ილაპარაკა, როგორც შეეძლო, მაიაკოვსკის მნიშვნელობაზე.

მეტი არავინ და არაფერი.

— რა ვქნათ, ამხანაგებო! — მიმართა დარბაზში მყოფთ — როგორც ხედავთ, არც ისეთი დღეა, რომ თავი შეგაწყინოთ ლამაზი სიტყვებით. ერთად-ერთი რაც შემიძლია ახლა, ეს ის, რომ ჩემს ახალ პოემას წაგიკითხავთ. „მთელი ხმით“. ასე ქვია...

არა მგონია შევძლო რაიმე შედარებებით გადმოვცეთ ის შთაბეჭდილება, რომელსაც მისი კითხვა ახდენდა. ბევრჯერ მომისმენია მისი კითხვა, მაგრამ ასეთი არასოდეს. ყოველი სიტყვა გრდემლივით სცემდა. შეუძლებელია ეს სიტყვები, ეს ხმა მხოლოდ ამ დარბაზში იყოს მომწყვდეული! შეუძლებელია ყველა და ყველგან არ ისმოდეს ახლა ის!

დაამთავრა თუ არა, იმავ წუთში აჩქარებული ნაბიჯით გავიდა დარბაზიდან.

მაშინვე მეც წამოვედი.

მეორე ოთახში ვიპოვე. მაგიდასთან ჩამომჯდარიყო.

— ჯანდაბას ყველაფერი! — გაბრაზებით ჩააქნია ხელი. — რამდენსაც არ უნდა ეცადოს რაპპი, მე მაინც ვიქნები და ვიმუშავებ.

როგორც შემდეგ გავიგე, რაპპის ხელმძღვანელობა ცდილიყო ჩაეშალა მაიაკოვსკის საღამო და ორგანიზაციული ზომებიც მიეღო, რომ მისი ახლობელი მეგობარი მწერლებიც არ დასწრებოდნენ. რაპპი დაჟინებით მოითხოვდა მისგან შესულიყო მათ ორგანიზაციაში. პირდებოდნენ, რომ ლენინგრადში მოუწყობდნენ გამოფენას, თუ დაეთანხმებოდა.

სიკვდილის დღეს

სიკვდილის წინა დღეს მაიაკოვსკის შევხვდით მე და ნიკოლოზ შენგელაია მწერალთა კავშირში. რაპპი კიდევ არ ასვენებდა და ამაზე გაცხარებით სჩიოდა. დაურიდებლად აგინებდა.

განა შემეძლო თუნდაც წუთით წარმომედგინა, რომ მეორე დღეს მას ცოცხალს ვეღარ ვნახავდი?

მაიაკოვსკი და სიკვდილი... ეს რაღაც შეუსაბამობაა...

სასტუმროს ოთახში დავბრუნდი: რეჟისორი დოვჟენკო, მსახიობი სოლნცევა და ნიკოლოზ შენგელაია დამხვდნენ. გამაკვირვა მათმა შეხედვამ. არა, მხოლოდ მწუხარება კი არა, საშინელი თავზარდაცემა ამოვიკითხე მათ სახეზე.

აქ გავიგე პირველად მიზეზიც. მაიაკოვსკიმ თითონვე მოისპო სიცოცხლე! არა, ეს წარმოუდგენელია!

ორი, თუ სამი საათის მკვდარი იყო, როცა მას ბინაზე მივედით.

არ შეგვიშვეს ოთახში, სადაც ესვენა.

ოთახიდან ვიღაც თეთრხალათიანი გამოვიდა,

გადაფარებულ ლანგარით რაღაც გამოიტანა.

ეს იყო მაიაკოვსკის ტვინი...

მერე შეგვიშვეს. ის იწვა დაბალ ტახტზე, თეთრ ხალათში. თავი ბალიშზე ესვენა. უზარმაზარი მხრები ტახტს ფარავდნენ. ტახტის სიგრძეზე ფეხები არ ეტეოდა. საბანი ეხურა. თითქო სძინავდა.

მაიაკოვსკი და სიკვდილი... რა წარმოუდგენელი შეუსაბამობა იყო!

ყოველწლიური თეატრალური კრებული

ხელოვნების საქმეთა საკავშირო კომიტეტი და სრულიად რუსეთის თეატრალური საზოგადოება ამთავრებენ მზადებას პირველი საბჭოთა ყოველწლიური თეატრალური კრებულის გამოსაშვებად, რომელიც მიძღვნილი იქნება 1939 წლისადმი. იმ ყოველწლიური კრებულისაგან განსხვავებით, რომლებიც წინად იცემოდა, ახალი კრებული გამოვა წელიწადში ერთხელ ორ ტომად ორმოცდაათი ფორმის მოცულობით. კრებულში ასახული იქნება ყველა საბჭოთა თეატრის ცხოვრება.

ყოველწლიური თეატრალური კრებულის პირველი ტომი მიეძღვნება განვლილი წლის თეატრალური დადგმების ანალიტიურ და კრიტიკულ მიმოხილვებს. მოსკოვის, ლენინგრადის, თბილისის, კიევის და სხვა დიდი ქალაქების დრამატიული თეატრების მიმოხილვებში მოცემული იქნება რეპერტუარის, სპექტაკლების, სტილის, რეჟისორული და აქტიორული ოსტატობის ანალიზი. აქვე გამოქვეყნებული იქნება წერილები 1939 წელს დადგმული კლასიკური და საბჭოთა ოპერებისა და ბალეტებისა. სამიმოხილვო წერილებში შეჯამებული იქნება საბავშვო, საკოლმეურნეო და ტიკინების თეატრების მუშაობის შედეგები და ასახული იქნება თეატრალური მხატვრების მუშაობა ცენტრალურ თეატრებსა და პერიფერიებში.

ყოველწლიური თეატრალური კრებულის მეორე ტომში თავმოყრილი იქნება ფაქტები და მასალები საბჭოთა თეატრების ცხოვრების შესახებ. ამ ტომში პირველად იქნება გამოქვეყნებული მთელი კავშირის თეატრების სია რეპერტუარების ჩამოთვლით. რეპერტუარის ტაბულები მოგვცემენ წარმოდგენას იმის შესახებ, თუ რომელ თეატრში და რამდენჯერ იქნა წარმოდგენილი თითოეული პიესა.

ლექსები

ალექსანდრე ქუთათელი

ეროვნული ბიბლიოთეკა

ხე და საფლავი

ხანისწყალს შვენის როკითი,
ძელქვა როკივით მაგარი,
მაგრამ ის ერთი კოპიტი
მუდამ მაღონებს მაღალი.

მის ძირას დაუვიწყარი
ირღვევა კუბოს ფიცარი,
როცა ღრუბლიან სიწყნარეს
ზარავს ცივის ხმით ციცარი.

მე აქ ვიცანი ტირილი,
ტირიფის რტოთა დარდები,
გადაგდებული გვირილა
და ფერწასული ვარდები.

საფლავზე მე არ მიწირავს
წუხილი ვეღარ წავშალე,
თუმც ვერ ადგება მიწიდან
მშობელი სპეტაკ თავშალით,

ქართულის ჩიხტიკოპითა,
ჯავარიანის კაბითა,
შენ კი მაღალო კოპიტო,
შრიალებ ყოველ ღამითა.

მთვარემ მიჯნურთა ტფრიალით
თავზე დაგხურა ბაღდადი
და ხანისწყალი გრიალით
ხევიდან ხევში გადადის.

დილით შევსცქერი დაბლა ველს
ყანასა მკიან ჩვენები.
შენ ისევ ამკობ საფლავებს
შენის გულგრილის მშვენებით.

მოგონება

მე მაგონდება ცივი ზამთარი,
სოფლის ბუხართან გატარებული.
გარეთ ჰკიოდა ქარი აფთარი,
რიონის ველზე გადარეული.

მე მაგონდება ღამე ვერანი,
ქართა მღერანი ტყეში მუქარით,
როს პირველ ლექსთა მეპყრა დედანი
და ყრმის ვნებანი შიგ ნაბუქარი.

მახსოვს ღიმილი შენი ორჭოფი,
როცა დავხურე მე ჩემი წიგნი,
თითქო ასწიე მძიმე ორწოხი,
ჩამოწოლილი თვალების შიგნით.

გაგონდებოდა შენივე ხვედრი,
მითხარ: „შენსავით ერთ დროს დავიწვი“.
ცეცხლმა გამოსწვა ნეკერჩხლის მკერდი
და გადატება, როგორც ლავიწი.

დავხურე წიგნი ჩემი ყრმობისა
და შემომაწვა სევდა უწყალო.
ქარი სტიროდა ქრისტეშობისა
და შიშინებდა შეშის კურცხალი.

დედა

აყვავდა შენი დარგული ვარდი.
დღესაც სანატრელ შენს სახეს ვუმზერ,
სნეული მნახე და შენი დარდი
ამოვიკითხე დაღარულ შუბლზე.

შენ ჩემი თავი გედო უბეში
და ნაღვლიანი ნანას მღეროდი;
გულს ჩაგესახა მაშინ ნუგეში,
როცა ღვთისმშობელს ევედრებოდი.

არ გიგონებდე, მე ძალმიძს განა?
შენ ბოროტისგან ნიადაგ მიცავ.
შენი გალობა და ტკბილი ნანა
მაახლოვებდა სამშობლო მიწას.

როცა გამოვრჩი და გავიარე,
შენს თვალში დილის რიჟრაჟი ჩადგა.
შენ საიდუმლო გამიზიარე,
შენი თვალების ნათელი მადგა.

აკაკი წერეთლის და ვაჟა-ფშაველას პოეტიკა

წერილი პირველი

სიმონ ჩიქოვანი

ქართულ პოეზიაში და ქართველ ხალხში პოეტის სახელს განსაკუთრებული ყურადღება ექცეოდა. რომანტიკოსებს გარდა, ყოველი ქართველი პოეტი ცდილობდა მხოლოდ **სახელით** დარჩენილიყო შთამომავლობის ხსოვნაში. დავით გურამიშვილი, არჩილ მეფე, ბესარიონ გაბაშვილი, აკაკი წერეთელი, ილია ჭავჭავაძე და ვაჟა-ფშაველა ხალხში თავიანთი სახელების დამკვიდრების მომხრენი იყვნენ, ისინი გვარის პოპულარიზაციას გაურბოდნენ. მხოლოდ გურამიშვილმა ვერ მიაღწია სახელის დამკვიდრებას ხალხში, რადგან მთელი ცხოვრება სამშობლოს გარეშე გაატარა და ქართველ ხალხში პოპულარობა სიკვდილის შემდეგ დაიმკვიდრა. მაგრამ თავის ლექსებს „დავითიანი“ უწოდა და ამით პოეტის სახელს მეტი უპირატესობა მიანიჭა. არჩილმა, ბესიკმა, ილიამ, აკაკიმ და ვაჟამ ხალხის სიყვარული სიცოცხლეშივე დაიმკვიდრეს. ისინი იმდენად დაუახლოვდნენ თავიანთ ხალხს, რომ მათი სახელები საერთოდ პოეტობისა და გმირობის სინონიმები გახდნენ. უნდა ვიფიქროთ, რომ პოეტი საქართველოში წინასწარმეტყველის თუ მოციქულის როლში ჰყავდათ წარმოდგენილი. ჩვენი ძველების წარმოდგენით, პოეტი ხალხის ტკივილებისა და სიხარულის გამომხატველი იყო და, მაშასადამე, ხალხის წინამძღოლიც. სახალხო პოეტის ტრადიცია საქართველოში რომანტიკოსებმა მოსპეს, თუმცა მათი ლიტერატურული ღვაწლი დიდია, მაგრამ ალექსანდრე ჭავჭავაძე და გრიგოლ ორბელიანი უფრო ნაკლებად იყვნენ სახალხო პოეტები, ვიდრე ქართველი მეფე-მგოსნები. სამეფო ტახტზე ჯდომა თეიმურაზს და არჩილს ხელს არ უშლიდა უფრო დაახლოებული ყოფილიყვნენ საზოგადოების ფართო ფენასთან, ვიდრე ზოგიერთი ჩვენი რომანტიკოსი.

მე-19 საუკუნის ქართველი ხალხის პოეტური პოტენცია სრულყოფილად და დიადი პოეტური სიმძაფრით გამოავლინეს ნიკოლოზ ბარათაშვილმა, ილია ჭავჭავაძემ, აკაკი წერეთელმა და ვაჟა-ფშაველამ.

ნამდვილი ხალხურობა პოეზიისა ჩვენში დაამკვიდრეს აკაკი წერეთელმა და ვაჟა-ფშაველამ. მართალია, ილია ჭავჭავაძე, როგორც მხატვრული შემოქმედებით, ისე თეორიული წერილებით დამწყები იყო ჩვენში მწერლობის ხალხურობისა, მაგრამ მის მწერლობას ევროპეიზაციისაკენ ლტოლვამ თავისი დაღი დაამჩნია და ხალხური შემოქმედების დაუშრეტელ წყაროს იგი ძალიან მორიდებით და ზომიერად ეწაფებოდა, ხოლო პოეტურ ფორმაზე მუშაობისას ილია ფოლკლორის ზეგავლენას გაურბოდა კიდეც. აკაკიმ და ვაჟამ თავიანთი შემოქმედების დაუშრეტელ წყაროდ ხალხური შემოქმედება აღიარეს. ხალხურობა მათ ცხოვრებაში შემავალი კატეგორია იყო. ისინი ცხოვრობდნენ როგორც ხალხის მოციქულები, გაურბოდნენ სახელმწიფო სამსახურს, პოეტური სიმღერა და სამსახური პოეზიისადმი მათ საკუთარი ცხოვრების მთავარ დანიშნულებად მიიჩნიეს.

მათი პოეტიკის საწყისებიც პოეტის ხალხურ გაგებაში და ხალხური პოეზიის მხატვრულ ათვისებაში უნდა ვეძიოთ. რამდენადაც აკაკი და ვაჟა ხალხური პოეზიის სიახლოვეში ურთიერთს ენათესავებოდნენ, იმდენად ისინი შორდებოდნენ ერთმანეთს ხალხური შემოქმედების ათვისებაში და ხალხური პოეზიის გამოყენებისა და გადამუშავების საკითხში. ისინი სხვადასხვა გზით უახლოვდებოდნენ და შორდებოდნენ ხალხის მიერ დატოვებულ საუნჯეს. თუ აკაკიმ შექმნა უფაქიზესი და უნაზესი ხალხური სიმღერები, გალობანი თუ პოეტური ლოცვები, ვაჟამ პლასტიური სახეებით გამოჰკვეთა ხალხის გმირები და საოცარი ხილვა გამოიჩინა ხალხის უახლოეს მეგობრის—ბუნებისადმი. თუ აკაკი იყო პოეტური სიტყვით მომღერალი, ვაჟა იყო პოეტური სიტყვით ცხოვრების სურათების მხატვარი.

აკაკის წარსულში თავის უსაყვარლეს პოეტად დავით გურამიშვილი მიაჩნდა. ვაჟამაც გურამიშვილისადმი მიძღვნილ ლექსში აღიარა იგი თავის წინამორბედად და კურთხევა შესთხოვა. მართლაც, დავით გურამიშვილი ორივე პოეტის წინამორბედად შეიძლება ჩავთვალოთ, მაგრამ აკაკი სხვა კუთხით და ვაჟა სხვა კუთხით ხედავდნენ გურამიშვილის პოეზიის მშვენებას.

აკაკი და ვაჟა წმინდა ქართველი პოეტები იყვნენ. მათ ნაკლებად განიცადეს ევროპული და რუსული მწერლობის გავლენა. ისინი დამოუკიდებლად ამოიზარდნენ ქართული კლასიკური პოეზიის ტრადიციებიდან და ხალხური პოეტური მეტყველებიდან. მათი ნათესაობა უცხოეთის მწერლებთან უმნიშვნელოა და შემთხვევითი. აკაკი და ვაჟა არ იყვნენ რჩეული თემების პოეტები, რომანტიკოსების დაგვარად. მაგრამ ეს მათ ნაკლად არ ჩაეთვლებათ. მათ სურდათ ყოფილიყვნენ მთელი ერის პოეტები და ამიტომაც ბევრს სწერდნენ. მათი სურვილი იყო ჩაწვდენოდნენ ხალხის სულიერ სამყაროს და აემაღლებინათ იგი.

I.

აკაკი და პოეზია, აკაკი და ლექსის თქმა სინონიმები იყო ქართველი ხალხის წარმოდგენაში. აკაკიმაც ოლიმპიური სიდინჯით მიიღო ხალხის სიყვარული და კეთილშობილი არტისტიზმით ჩაატარა თავისი პოეტური ცხოვრება, ცხოვრება სახალხო პოეტისა და მშობლიური ქვეყნის მომღერლისა. მან ხალხისაგან მიიღო საქართველოს ბულბულის წოდება. მშობლიურმა ქვეყანამ მისი ლექსების მელოდია ბულბულის გალობას შეადარა, და აკაკის საუკეთესო ლექსების კეთილხმოვანებამ ხალხის სმენა დაიმორჩილა. მაგრამ თვით აკაკისათვის ბულბულობა დამაკმაყოფილებელი არ იყო. რაც უფრო ხანში შედიოდა პოეტი, მით უფრო იზიდავდა მას სახალხო მქადაგებლის როლი, წინასწარმეტყველის სახე. ეს არ იყო ქრისტიანული მოძღვრებიდან შეთვისებული განცდა, ეს იმავე ხალხურმა ფანტაზიამ შთააგონა პოეტს. მისი სახელი—აკაკი საკმარისად მიჩნეულ იქნა მისი პოეტური პიროვნების აღსანიშნავად; მანაც მიიღო წინასწარმეტყველის პოზა და დაიწყო პოეტური ქადაგება. ეს პოზა სრულიად არ ყოფილა ნაძალადევი მისთვის. ეს იყო ნამდვილი კეთილშობილი გრძნობით ნაკარნახევი და მაღალი არტისტიზმის შემცველი სახეობა. პოეტი მართლაც შესანიშნავი სისადავით და გულწრფელობით ღაღადებდა ხალხის მომავალზე, ხალხის მომავალ გმირზე. კახეთში გამოდიოდა იგი თუ რაჭა-ლეჩხუმში და მიმართავდა მისდამი პატივსაცემად შეკრებილ ხალხს, ყველგან იხსენიებდა, რომ თვითონ მხოლოდ აჩრდილიღაა მომავალი გმირისა და რომ მომავალი გმირი ქართველი ხალხის წიაღში დაიბადება. საქართველოს წარსულში აღმოცენებული დიდი შემოქმედნი და ქართველი ხალხის დრამატიული ისტორია უფლებას აძლევდნენ პოეტს ეფიქრა: საქართველოდან გამოსული გმირი სხვა ქვეყნის ტკივილებსაც კარგად გაიგებდა და საყოველთაო მოწინავე გმირი იქნებოდა. ხსენებულ წინასწარმეტყველებას პოეტი განსაკუთრებით დაჯერებით იმეორებდა და საოცარი უშუალობით არწმუნებდა ხალხს ნათქვამის სიმართლეში.

აგრე უშუალოდ და დამაჯერებლად ჰქმნიდა ის თავის ლექსებს. როგორც ლოცვები, სიმღერები და საგალობლები იფრქვეოდნენ ხალხში ლექსები სახალხო პოეტისა, თითქოს ეს ლექსები მას კი არ შეეთხზა, არამედ ზეგარდმო მადლით გადმოსულიყვნენ პოეტის მეხსიერებაში. ამგვარად, მის ლექსებში ხშირად ვხვდებით დაბადების და სახარების სახეებს და მეტაფორებს. უნდა ვიფიქროთ, რომ ჰეინეს გვარად, ეს წიგნები მას მხატვრული აზროვნების შესანიშნავ გამოვლენად მიაჩნდა. მათი სიყვარული, „ჩემი თავგადასავალის“ მიხედვით, ბავშვობაში უნდა ჩაენერგათ პოეტისათვის. აკაკი დიდად განსწავლული იყო ეგრეთწოდებული „სამღვთო წერილებით“ და ძველი ქართული მწერლობით, მის პოეტურ ლაბორატორიაში ამ წიგნების მხატვრულ ზეგავლენას დიდი ადგილი უნდა ჰქონოდა მიჩენილი.

თუ გადავხედავთ აკაკის ლირიულ ლექსებს, დავინახავთ, მათი გარეგნული აღნაგობა ხშირად ლოცვებსა და საგალობლებს მოგვაგონებს. საგალობლების, ლოცვებისა და საერთოდ სასულიერო მწერლობის ამგვარი გამოყენება პირველად საოცარი არტისტიულობით და სიფაქიზით დავით გურამიშვილმა გვიჩვენა თავის ტრაგიკულ სახეებით აღსავსე პოეტურ აღსარებაში. გურამიშვილის ერთგვარ გავლენას უნდა მიეწეროს ან, უკეთ, გურამიშვილისადმი სიყვარულმა შთააგონა აკაკის მიეცა თავისი ლექსებისათვის ამგვარი ფორმა და გარეგნული სამკაული მისი პოეზიისა სასიმღერო და საგალობელი ყოფილიყო. მაგრამ თუ გურამიშვილის პოეზიაში ხსენებული ფორმა გამომდინარეობდა გურამიშვილის ქრისტიანულ მისტიციზმიდან, თუ იგი ქრისტიანული ასკეტიზმის შედეგად გვევლინება,—აკაკისათვის ამგვარი დანიშნულება მწერლობისა უცხო და გაუგებარი იყო. მართალია, სამშობლოსადმი სიყვარული, გურამიშვილის დარად, აკაკის გულშიც რაღაც რელიგიურ ექსტაზამდე ადიოდა და იგიც სანთელივით იწვოდა სამშობლო ქვეყნის ხატის წინაშე, მაგრამ ქრისტიანული აქსესუარები მის პოეზიაში მხოლოდ მხატვრული ნიუანსებია და მეტი არაფერი. გადახვეწილ გურამიშვილისა და აკაკის ფანატიური სიყვარული სამშობლო ქვეყნისა ერთგვარად ანათებდა საქართველოს სახის წინაშე.

სასულიერო მწერლობის სახეები და გამოთქმები პოეტს არ ავიწყდებოდა 1905 წლის რევოლუციის ხანაშიც და როდესაც მუშათა კლასს მიმართავდა აღტაცებით და მოწოდებით, თავის პიროვნებას ბიბლიურ სიმეონს ადარებდა, რომელმაც ქრისტე მიირქვა. თითქოს იგი ახალი ტომას მიუნცერი ყოფილიყოს, სახარების სახეებს თავისებურად სთარგმნიდა, ქრისტიანულ სახეებს თავისებურ განმარტებას აძლევდა; ხსენებული სახეები და თქმები მან პოეტურად გამოიყენა ხალხის მომავლისთვის ბრძოლაში და ხალხის ინტერესების განსამარტავად. ბიბლიური სახეებით ამგვარი გატაცება სრულიად არ გულისხმობს აკაკის იდეურ ჩამორჩენას. ჩვენ ვიცით, რაც უფრო მუშათა კლასი ძლიერდებოდა და გამოდიოდა ბრძოლის ასპარეზზე, მით უფრო აკაკი პოლიტიკურად აქტუალური ხდებოდა და ხალხის უღარიბეს ფენებს უახლოვდებოდა. თუ მისი პოეტური სახეები და ბიბლიური თქმები ძველი და ახალი აღთქმიდან იბადებოდნენ, ეს ნაწილობრივ, როგორც ვსთქვით, დავით გურამიშვილის პოეტური ინერციის შედეგია, ხოლო ნაწილობრივ იმ მხატვრული სისრულისა, რომელიც, აკაკის და ჰეინეს აზრით, ბიბლიას ახასიათებდა.

თავისი თავი მას წარმოედგინა მომავალი გმირის მოციქულად. და გმირის მოციქული ბიბლიური სიდინჯით უნდა მდგარიყო ხალხში და მომავალი რაინდისათვის ემღერა. 1905 წლის რევოლუციაში მან თავისი წვლილიც, თავისი ნამოღვაწარის შედეგიც დაინახა. პოეტს ბევრი რამ არ მოსწონდა რევოლუციის მდინარებაში, მაგრამ თავისი პათოსის გამართლება მან რევოლუციის მღელვარებაში შეიგრძნო, საჩქაროდ ახალი თემები აამღერა და ხალხს შეუთხზა რევოლუციური ჰიმნები მღელვარე დღეებისა. მგოსნის ყოველდღიურობით გატაცებას ახლა მეტი გასაქანი მიეცა და სიტყვა „პროლეტარმა“ მეტი თავისუფლება იგრძნო პოეტის სიმღერებში. ყოველივე ეს მოწმობს ხალხურობის ჭეშმარიტ განცდას და ნამდვილ ხალხურ შთაგონებას. აკაკისათვის ხალხურობა უპირველესად ხალხისადმი სამსახურს ნიშნავდა. გარეგნული ფორმაც მისი ლექსებისა მუშავდებოდა ხსენებული ამოცანის შესასრულებლად. მისი ლექსები უაღრესი მუსიკალობით და სისადავით ამცნობდნენ ფართო ფენებს პოეტის სიხარულსა და ტკივილებს და მოუწოდებდნენ ახალი ცხოვრებისაკენ.

მაქსიმ გორკი ამბობდა, ხალხურობა რუსულ პოეზიაში მხოლოდ მაშინ დაიბადა, როცა პუშკინის აღმზრდელი ქალი გამოჩნდაო პოეზიაში. ესევე ითქმის აკაკის შემოქმედების შესახებ. არა მარტო გლეხკაცის ცხოვრებისადმი სიყვარული შეიძინა აკაკიმ თავის ძიძის მეშვეობით, მან მის ოჯახშივე შეიძინა სიყვარული ხალხური შაირებისადმი, ხალხური ლექსებისა და ხალხური საკრავებისადმი. სტვირი, ქამანჩა, ჩონგური, სალამური და ჩანგი აკაკის პოეზიის მუდმივი თანამგზავრებია. აკაკი, როგორც თავათ ამბობს დიდი მუსიკალური სმენით არ ყოფილა დაჯილდოებული, მაგრამ პოეტური სმენა აკაკის განსაკუთრებულად ჰქონდა გაფაქიზებული; ხალხური მელოდიების სიყვარული ორგანიულად ჰქონდა შეთვისებული პოეტს და პოეზიაში ისინი ზედმიწევნით ოსტატურად გამოიყენა. მისთვის საიდუმლოების გვარად ჩონგურში ინახებოდა კეთილხმოვანება სამშობლო ქვეყნისა. ხოლო სამშობლო განუყრელი მუზა იყო პოეტისა, მთელი საქართველო პოეტისათვის პარნასს წარმოადგენდა, ე. ი. შთაგონების მთავარ წყაროს. ჩონგურს შეენახა მისთვის სამშობლო ქვეყნის „მოთქმანი, კაეშნის წვანი და ხანცა ოხვრანი და ხანცა ამოკვნესანი“, რომელნიც „წარსულთა დროთა მოგონებითა სულს აფიქრებენ“. თითქო ეს სიტყვები ბარათაშვილისა ანდერძად დარჩა აკაკის და აკაკიმაც ჩონგურზე შეაწყო თავისი პოეტური ხმა და ჩონგურის ღუღუნში გამოხატა უმძაფრესი გრძნობა სამშობლოს სიყვარულისა:

„დიდება შენსა მოვლენას,
ციურო, ტკბილო ძალაო,
დაადნა გული შენს სიმებს,
და გული დაიცალაო“.

ამგვარად, აკაკის ლექსები უმთავრესად სასიმღერო ლექსებია, ლექსები, რომლებიც გულისხმობენ რაიმე საკრავის ხმის აყოლებას და საკრავთან შეთანხმებას. ამგვარია „დედის სიმღერა“, „მე ჩანგური მისთვის მინდა“, „ჩანგურს სიმები აუბი“ და სხვა ლექსები, რომლებიც საკრავებთან არიან დაკავშირებული. ამ ლექსებს ემატება სხვა ხალხურ მოტივებზე აშენებული სიმღერები, ხალხის მუშაობის პროცესთან დაკავშირებული: „ყანა“, „სიმღერა მკის დროს“, „მუშური“ და სხვ.

ძიძასთან გატარებულ ცხოვრებიდან და იქ შეთვისებულ ხალხურ მელოდიებიდან ამოიზარდა შედევრი ქართული პოეზიისა—„იმერული ნანინა“. ყველა ხსენებული ლექსი ცხოვრობს არა დამოუკიდებელი ცხოვრებით,—ისინი დაკავშირებულნი არიან მთქმელის ესთეტიურ კულტურასთან, მთქმელის სულიერ მოთხოვნილებასთან. ამ ლექსებში პოეტი თითქოს იმალება და მათი კითხვის დროს, პოეტის ნაცვლად, ჩვენ წარმოგვიდგება მუშა, მებრძოლთა ლაშქარი, აკვანთან მჯდომი დედა, რომელნიც ასრულებენ ხსენებულ სიმღერებს. სიმღერის შემსრულებელი აჩრდილივით დაჰყვება აკაკის ლექსებს და თითქოს აკაკის ნაცვლად იგი აკავშირებს ამ ლექსებს ხალხის ცხოვრებასთან. აკაკის სიმღერები იგივე მონოლოგებია ჩვენი გარდასული ცხოვრების მომქმედ პირთა, ისინი გმირები არიან დიდი სიმფონიური დრამისა, რომელსაც პოეტი ჰქმნის თავისი მაღალი პოეზიით. ამ სიმღერებში პოეტი თითქოს თავის მისწრაფებას კი არ ამხელს, არამედ ცხოვრებიდან ამოყვანილ გმირებს ათქმევინებს თავიანთ სულიერ ზრახვებს. რასაკვირველია, ეს გმირები აკაკის სულიერმა ძალამ ამოიყვანა ცხოვრების წიაღიდან და საკუთარი ზრახვები შთაუნერგა მათ.

ზემოთ დასახელებული საკრავები ქართული ხალხური საკრავები იყო. პოეტს ისინი განსაკუთრებულ შთაგონებას აძლევდნენ და მის პოეზიაში ისინი განუწყვეტლივ წკრიალებდნენ. ამ შემთხვევაში აკაკის, ტარას შევჩენკოს დარად, პოეტი სახალხო ინსტრუმენტზე დამკვრელ მგოსნის სახეობად ჰქონდა წარმოდგენილი. შემცდარი იქნებოდა გვეფიქრა, თითქოს ტარას შევჩენკოს გავლენით შემუშავდა აკაკის ასეთი პოეტიკა. ჯერ კიდევ ბავშვობაში შეთხზული აკაკის ლექსები მესტვირულია. აკაკიმ თავისი სიყვარული ხალხური საკრავებისადმი შეიძინა გლეხობაში ცხოვრებით და ქართული ხალხური შემოქმედების გაცნობით.

მისი ლექსები და სიმღერები გვიმტკიცებენ, თუ როგორ მრავალფეროვანია აკაკის პოეტური მღერადობა და როგორ სხვადასხვა ჰანგების შემცველ ტექსტებს ამუშავებდა პოეტი. იგი ხან ჩონგურს აღუღუნებდა და ხან სალამურს აწკრიალებდა, ხან კიდევ სტვირი იყო მისი პოეტური შთაგონების საგანი. მისი წარმოდგენით, ამ საკრავებმა შეინახეს და შთაბერეს მას ხმები, ხალხის ჭირვარამისა და ხალხის სიბრძნის გამომხატველი. აგრე მძაფრად გამოსჭვივის ხალხური საკრავების კულტი აკაკის პოეზიაში. აკაკიმ მეჩონგურე და სალამურის დამკვრელი პოეტი პირველყოფილ სახეობად წარმოიდგინა. მაშასადამე, პირველი წყარო სახალხო პოეტის შთაგონებისა ხალხური მუსიკა და ხალხური პოეზია იყო. ამგვარად, აკაკის პოეზიას ხალხური საკრავები ტონს აძლევენ. ცნობილია, ქართულ პოეზიაში ხალხურობა ლექსის თქმისა პირველად დავით გურამიშვილმა დაამკვიდრა. მან პირველმა მიუახლოვა დამწერლობითი პოეზია ხალხურ მეტყველებას და ფოლკლორულ პოეტურ ფორმებს. მაგრამ სწორედ პოეტური რიტმის გამდაბიურებამ და ხალხისათვის მისაწვდენ ლექსთწყობით მუშაობამ უკარნახა დავით გურამიშვილს ახა-

(დასასრული მე-4 გვ.)

ეკატერინე გაბაშვილის ხსოვნის საღამო

7 ივნისს მწერალთა კლუბში გაიმართება ეკატერინე გაბაშვილის ხსოვნის [illegible] საღამო.

[illegible]

კონსტანტინე ჭიჭინაძის პოეზიის საღამო

25 მაისს [illegible]

[illegible]

კონსტანტინე ჭიჭინაძის ლირიკა

(დასასრული)

[illegible]

ალიო მაშაშვილის შემოქმედებისადმი მიძღვნილი მკითხველთა კონფერენცია

[illegible] 19 მაისს [illegible]

[illegible]

ალიო მაშაშვილის შემოქმედების საღამო ქუთაისში

17 მაისს [illegible]

[illegible]

მზადება აკაკი წერეთლის იუბილესათვის

დოკუმენტურ-მხატვრული ფილმი აკაკი წერეთელზე

[illegible] 1912 [illegible]

[illegible]

აკაკის დღეები ქუთაისში

[illegible] 100 [illegible]

[illegible] 22 მაისს [illegible]

ქართველი საბჭოთა მწერლების საღამოები ზესტაფონსა და ფოთში

23 მაისს [illegible] 25 და 26 მაისს [illegible]

„წყნარი დონის" მეოთხე ტომი

15 [illegible] 19 მაისს [illegible]

[illegible]

„ამბავი იგორის ლაშქრობისა"

[illegible]

გაბრიელ ჯაბუშანურის შემოქმედებითი საღამო

[illegible] 23 მაისს [illegible]

[illegible]

ახალი წიგნები

კ. ლორთქიფანიძის „კავკასიელი მოთხრობები"

[illegible]

იონა ვაკელის „ლექსები"

[illegible] 104 [illegible] 7 მან.

[illegible] „მოთხრობები"

[illegible] 208 [illegible]

„პოლი და ვირჯინი" ქართულად

[illegible]

ს. თევაძის ლექსები და პოემები

[illegible] 168 [illegible] 14 მან. და 85 კაპ.

შილერის „[illegible]" რუსულად

[illegible] 192 [illegible] 3 მან. და 20 კაპ.

„[illegible] მოგზაურის" მეორე წიგნი

[illegible] 30 [illegible]

შესწორება

[illegible]

სარედაქციო კოლეგია: [illegible]

რედაქციის მისამართი: მახარაძის ქუჩა № 13, (მწერალთა სახლი) ტელეფონი 3—47—10.

[illegible] სახელობის სტამბა „კომუნისტი", თბილისი, ლენინის ქ. № 28. მთავლიტის რწმუნებული ა—1439